# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კანტორა:** თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფონი № 15—73.
მასამართი დეპეშებისათვის: თბილისი ,,საქართველო" ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:** განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—8 მ.
ს. მგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1 ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:** გაზეთი ,,საქართველო" ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მან.

ფასი 10 მან.

წელიწადი მესამე. პარასკევი, ღვინობისთვის 15. 1920 № 122.

# ეროვნულ-დემოკრატიული
## პარტიის მთავარი კომიტეტი

მოთავსებულია კვლავ ძველ ბინაზე: დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5, ქარვასლა.
მდივნის ნახვა შეიძლება დილის 9—1 საათამდე,

---

მწუხარებით დაზიდული მშობლები ნოე გლახასძე და მარიამ ივანეს ასული სიხარულიძენი გულმწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ დაღუპულ მხურვალედ მოსიყვარულე თავიანთ შვილის

**ავთანდილის**

ტრაგიკულ სიკვდილს. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ექვს საათ. (დიდი მთავრის ქუჩა № 68), დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 1—3 78—1

---

ვალოდია, ბობა და თოლია სიხარულიძენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ მშობლებთ და ნაცნობ ნათესავთ ძვირფასი, და დაუვიწყარი ძმის

**ავთანდილის**

ტრაგიკულ დაღუპვას. პანაშვიდები ყოველ-დღე საღამოს 6 ს. (დიდი მთავრ ქ. № 67) დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1—317—1

---

სასტუმრო ,,ნოე"-ს და ნ. გ. სიხარულიძის სხვა დაწესებულებებში მომუშავენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ მშობლებსა და ნაცნობ ამხანაგებს ნ. სიხარულიძის შვილის

**ავთანდილის**

უდროოდ დაღუპვას, პანაშვიდები ყოველ დღე საღ. 6 საათ. (დიდი მთავრის ქ. № 68). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1—3181—1

---

ცენტრალური არტელი სასტუმრო ,,ნოეს" რესტორანისა ულრმესი გულმწუხარებით აუწყებენ მთელს ნათესაობას. ნაცნობ და მეგობართ ნოე გლახასძე სიხარულიძის ათი წლის, ბავშვის, უდროოდ დაკარგულ

**ავთანდილის**

საბედისწერო სიკვდილს. პანაშვიდი ყოველ-დღე, საღამოს 6 ს. (დიდი მთ. ქ. № 68), დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

# განცხადება

1-ლ ოქტომბრიდან დაიწყო მოქმედება თბილისში სამონოპოლიო მატყლის საწყობმა, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმათ-
სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიათ მომხმარებელ კოოპერატივებს და სადაც ამნაირები არ არიან—იქ თემებს და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.
ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

## მომარაგების სამინისტროს

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

**შენიშვნა:** რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ ,,ცეკავშირისაგან", რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

## მატყლის ყიდვა-გაყიდვა
## კერძო პირთაგან აკრძალულ ა

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) საშუალო ღირსების, გაურეცხავი მატყლი **4,000 მ.**

ბ) სუფთა—ახალგორის და სხვა რაიონების **4,500 მ.**

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ადგილობრივ გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. ორგანიზაციო ხარჯების დამატებით.

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონ

**შენიშვნა:** სართავ საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტრო საწყობიდან.

10—63.—6

**მომარაგების სამინისტრო.**

---

ევროპიდან ახლად დაბრუნებული
## ბ-ნი ტიტე მარგველაშვილი

წაიკითხავს ლექციას

,,სოციალიზმი და ევროპის ეხლანდელი ეკონომიური მდგომარეობა"

თეზისები: 1) სიმდიდრეთა განაწილების პროცესი,
2) წარმოება და მუშები,
3) წარმოების ლაცემა.
4) ევროპის დავალიანება,
5) მუშათა კავშირები,
6) სოციალისტური პოლიტიკა,
7) სოციალიზმის მარცხი,
8) საქართველო და სოციალიზმი
9) საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა,
10) ევროპა და საქართველო (ეკონომიური პარალელი),

2. სენაკში ხუთშაბათს 14 ,, 4. ლანჩხუთში კვირას 17 ,,
3. ფოთში პარასკევს 15 ,, 5. ბათომში ხუთშაბათს 21 ,,

სტუდ. და მასწავ. კომიტეტი.

---

ორშაბათს 18 ოქტომბერს
გამოდის ყოველ-კვირეული გაზეთი
**,,ცისფერი ყანწელების"**

## ,,ბარიკადი"

პოეზია, ესთეტიკა, პოლიტიკა.

რედაქტორი **ტიციან ტაბიძე**

მისამართი: სასტუმრო ,,კავკაზი" №№ 44—45.

---

სახელმწ. თეატრი.

## ოპერა

15 ოქტომბერს
**ბალეტის საღამო**
## მ. მორდკინისა
16 ოქტომბერს
ოპერა მუშებისათვის
## აბესალომ და ეთერი
17 ოქტომბერს
## ფაუსტი და ვალპურგიის ღამე

წარმოდგენის დროს შესვლა საყურებელ დარბაზში აკრძალულია

ოპერის დირექტორი: ს. ი ქელიხიშვილი.

---

# მეცხვარეთა
# საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება, შენახვა მთელი მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობას ,,მწყემსს", რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა ,,მწყემსის" საშუალებით, იმ ორი ათასი (2.000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობიდან მატყლის ადგილობრივად საფასურად, მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე, ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდი ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით;

1, მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა ე. ი. 10 პროც.

2. მეცხვარეს ამხანაგობა ,,მწყემსის" საშუალებით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. 45 პროც.

3. სახელმწიფო—მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ—გარეთის ბაზარზე.—

**მომარაგების სამინისტრო.**

---

# სახალხო სახლი

კვირას 17 ოქტომბერს,
პოეტ
## ნოე ჩხიკვაძის

გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო მგოსნის ობლების სასარგებლოდ ჰმართავს საღამოს.

1.
## ივ. გომართელი და გრ. რობაქიძე
წარმოსთქვამენ სიტყვას ნ. ჩხიკვაძის შემოქმედებაზე.

2.
## ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწილეს
2 მოქ. კომედია. მონაწ. მ. ქარუმელიშვილი, ს. ანკარა, ბ-ნი გოცირიძე, მეტრეველი, ა. თავდგირიძე და მეგრელიშვილი.

3.
## კონცერტი და დეკლამაცია
ქ-ნი ლ. პოლივადა და ბ-ნნი ვ. ლორთქიფანიძე და ზინონი მეასრულებენ ქართულ რომანსებს ი. ზარდალიშვილი, ვ. რუხაძე და ობოლი მუშა წაიკითხავენ ნ. ჩხიკვაძის ლექსებს.

4.
თაგუნა წაიკითხავს იუმორისტულ მოთხრობას.

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

---

# ქართული კლუბი

შაბათს 16 ოქტომბერს 1920 წ.
## შესდგება
# დიდი კონცერტი

**სახელმწ. თეატრის** ავათმყოფ მსახიობ **ა. ი. ინაშვილის** სასარგებლოდ. მონაწილეობენ მთელი დასი სახელმწ. თეატრისა: ოპერის და დრამის

**ბილეთები იყიდება კლუბის კასაში — დასაწყისი 9 საათზე.**

77 2—1

---

გაიხსნა
# რესტორანი
# ინტერნაციონალი

სასტუმრო ,,ინტერნაციონალთან" (თავისუფლების მოედანი)
**პირველი ხარისხოვანი სამზარეულო**

5—1 3182

---

# ამხ. ,,პროვოდნიკი"

სოლოლაკის ქ. **4**

იყიდება ბათუმის ფასებში არა ნაკლები თოფისა და დიუქინისა მანუფაქტურა ქალის პერანგები და პირსახოცები.

აგრეთვე მიღებულია უცხოეთიდან პარტია შემდეგი საქონელისა:

იდეალური ხარისხით, სიაფით და სახმარად სამზარეულო ფეჩი ,,ტიპტი"
ვაჟების, ქალების და ბავშვების კალოშები, ვაჟების, და ბავშვების კოსტიუმები სხვა და სხვა ხარისხის და ზომის.

ვაჟების ქუდები, პერანგები, ტილოს საყელოები და სახელოები, ზაპონკები, შესაკრავი ყელ სახვევები, ხელთათმანები, ცხვირსახოცები, ქალების წინდები. სხვა და სხვა ხარისხის, შარფები (ვრემ დე შინ), ყოველგვარი საპონი, კბილის ელექსირი ,,ბენდიქტინი" ფხვნილი, პასტი და კბილის სახეხი.

გარდა ამისა იყიდება: სხვა და სხვა კრემი ფეხსაცმელისათვის, ზონარები, რეზინის ქუსლები.

ამერიკული ფეხსაცმელი ვაჟების და ბავშვების.

მასტიკა იატაკისათვის ,,კოსმოსის" ლაბორატორიის და სხვა და სხვა საქონელი.

78 3—1

# დღეს.

ღვინობისთვის 12-ს რუსეთ პოლონეთს შორის დროებითი ზავს ორივე მხარემ ხელი მოაწერა.

ზემო-სილეზიაში პლებისციტს აწყობენ.

ამსტერდამში შედგა საერთაშორისო მიწად მოქმედთა კონგრესი.

საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციამ, ამერიკის ნოტის საპასუხო მემორანდუმი გამოაქვეყნა.

## წ ე რ ი ლ ე ბ ი:

მეთაური: მტრების რჩევა.
ისევ თვითნებობა.
სიმპტომები და მიზეზები.
ისკანდერ მუნში: თათბირი.

## მტრების რჩევა

ორი საშიში მოვლენა თავს დასტრიალებს საქართველოს: ეკონომიური კრიზისი და გარეშე საფრთხე. ორივე ეს მოვლენა მთელი ქართველი ერის შეერთებული ღონისძიებით უნდა დაიძლიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო ქვიშაზე აგებულ ხუხულას მიემსგავსება.

რამდენადაც პირველი მოვლენის მოსასპობად, ან შესამსუბუქებლად მაინც საკმარისია ჩვენი ძალღონის მაქსიმალური დაჭიმვა და მმართველთა სახელმწიფოებრივი შეგნება, იმდენად მეორე უბედურება ასე ვთქვათ ჩვენს სურვილების გარეშე სდგას და მის დასაძლევად ქართველი ხალხის ნებისყოფასთან ერთად სხვა მომენტიც უნდა გამოჩნდეს.

ეკონომიური კატასტროფა უნდა ავაშოროთ საქართველოს! ამას მოითხოვს ერის სუვერენობის იდეა და თუ ეს უკანასკნელი ქართველი ხალხის შეგნებაში აუცილებელ თვისებად არის ჩასახული, მან უნდა აღკვეთოს ეკონომიურ არევდარევის უახლოესი მიზეზები.

ამისათვის სხვა პირობებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკა უზრუნველ ყოფილი უნდა იყოს გარეშე საფრთხისაგანაც! აშიშვლებული ხმლით მტერი კარზე რომ მომდგარია, ვის შეუძლიან დაარხეინებულად მიეცეს საალმშენებლო მუშაობას ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით!?

სხვა და სხვა მიზეზებისა და ხშირად ჩვენივე დაუდევრობის და შეუგნებლობის გამო ჩვენ წესიერად ვერ ვუვლიდით წინაპართაგან ნაანდერძევ მიწა წყალს, ვერ ვპატრონობდით იმას, რაც გარემოებამ გვარგუნა, ვერ ვიბრუნებდით იმასაც, რაც საერთო აღრევის დროს მზაკვარ მეზობელს ხელთ შერჩა.. ამასაც თავი რომ დავანებოთ და „შემატების“ იმპერიალიზმად ჩავთვალოთ, ფაქტიურად ალებული ჩვენი სახელმწიფო მტრის საზვერავ ბანაკად გამხდარა თავისუფლების დაბრუნების ჟამიდან. მტერი რკალივით შემოგვერტყმია და მოსვენებას არ გვაძლევს. მ ელი ორნახევარ წელიწადი ფრონტს შევალიეთ

დღინი ჩვენი და საუკეთესო ვაჟკაცნი ნაყოფიერ საქმეს ჩამოვაშორეთ. საქართველოს სასიცოცხლო ინტერესი ბრძანებლობით მოითხოვს, რომ მილიტარული ძალა ქვეყნისა დარაჯად იდგეს სახელმწიფოს სანაპიროებზე. ფხიზლობა გვმართებს, რომ მუხანათური მტერი მოულოდნელად არ შემოიჭრას ჩვენს საზღვრებში და თავისუფლებასთან ერთად ერის ფიზიკური არსებობაც არ განაქროს ქვეყნიდან!

ვერავინ იტყვის, რომ დღეს გარეშე საფრთხე ნაკლებად იჩენს თავს, ვიდრე იმ დროს, როდესაც საქართველოს ჯარი ფიზიკურად ებრძოდა მოსეულ მტერს: არის ნიშნები ვიფიქროთ, რომ ამ ჟამად საქართველოს დამოუკიდებლობას შიში არა ნაკლები მოელის და ჩვენ არ ვიცით ვინ ინებებს ჩვენი სამშობლოს ჩაწიხვლის პრეროგატივას— ჩრდილოეთის „სოციალისტური“, სამფლობელო, თუ მისი დამქაში ოსმალეთი „კომმუნისტ“ მუსტაფა ქემალ ფაშას მეთაურობით...

ამ საბედისწერო ჟამს მხოლოდ თავისი ერის მოსისხლე მტერი დაემდურება საქართველოს მთავრობას იმაში, რომ მას სახელმწიფოს თავდაცვისათვის შეიარაღებული ძალა ჰყავს. ჩვენ ისიც ვიცით, რომ აბეზარი მტერი ანკარაში თუ გვიწევს ზოგჯერ,—მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს ხელში ჰხედავს ელემენტს, რომელიც ადვილად არ გაათელვინებს მას სამშობლოს თავისუფლებას.

საქართველოს მტრები ალბად იმედოვნებენ, რომ სოციალ-დემოკრატიული საქართველოს მთავრობა თანახმად პროგრამა-მინიმუმის მოთხოვნისა გააუქმებს რეგულიარულ ჯარს და, მაშასადამე, ჩვენს სახელმწიფოს ამ მტრებს მიუგდებს გადასაყლაპად, მაგრამ ისინი ვერ ელირსებიან ამ დღეს: ქართველი ხალხი ასე ადვილად არ წამოეგება ეშმაკურად მიწყობილ ანკესზე და თავის ხმალს უფრო დაუჯერებს, ვიდრე სხვის ლაქუცა სიტყვებს...

რევულიარულ ჯარის შენახვას „კომუნისტიც“ გვიკრძალავს: საბჭოთა რუსეთის დაქირავებული აგენტები და უფრო კი მათი ქართველი ლაქიები დღესაც ვერ შეჰრიგებიან საქართველოს დამოუკიდებლობის ფიქრს. ეს აბეზარი ადამიანები ქართულ ჯარის გაუქმებას მოითხოვენ და სწორედ იმ დროს, როდესაც მათი ავი „სათაყვანებელ“ „მუშურ-გლეხურ სოციალისტურ ფედერატიულ-საბჭოთა“ სამეფოში მილიტარიზმმა უმწვერვალესობამდე მიაღწია და მთელი ეს უზარმაზარი სახელმწიფო რეგულიარული ჯარით არის მოფენილი. იქნებ, რუსეთის ვექილებს ჰგონიათ, რომ „წითლობა“ სცვლიდეს ჯარის ორგანიზაციის შინაარს...

საბჭოთა ჯარებს ამ მომენტში უკავიათ საქართველოს ზოგიერთი უდავო კუთხეები, მ სივე ჯარები „წითელ“ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე „ველაცრსა და რელაცისათვის“ გაფაციცებით ემზადებიან, სამხრეთის „ჩალმიანი კომუნისტები იარაღს აჟღარუნებენ და ჩვენს საზღვრებზე დემონსტრაციებს ჰმართვენ,—და ასეთს პირობებში ქართველ ბოლშევიკების „კომუნისტი“ მუდმივ ჯარის კაუქმებას გვიჩევს:

ჩვენ ისედაც ვიცოდით, რომ ამ ადამიანებს ისე სძაგთ თავისი სამშობლო, როგორც ეშმაკს ჯვარი, მაგრამ, იმას —კი ვერ წარმოვიდგენდით, რომ მოღალატურ სულისკვეთებას ასე ცინიკურად გამოაშკარავებდნენ?

## ისევ თვითნებობა.

უკანასკნელ დროს ზოგმა უწყებამ მოუხშირა სხვის საქმეში ჩარევა. გავიხსენოთ თუნდ საბანკო კონტორების დაკეტვის ამბავი. ფინანსთა მინისტრმა ნება მისცა საბანკო კონტორების დაარსებისა. ეს კონტორები ჰყიდულობდნენ და ჰყიდდნენ უცხოეთის ვალიუტას. ასეთი ოპერაცია არსად აკრძალული არ არის და არც ჩვენში ყოფილა. მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უცებ ყველანი დაიჭირა ვინც ვალიუტით ვაჭრობდა და საქართველოდან გადაასახლა, ხოლო კონტორები დაჰკეტა. მხოლოდ ამის შემდეგ აიკრძალა ვალიუტის ვაჭრობა. სპეკულიანტების გაძევება საჭირო იყო. ჩვენ ამას დიდი ხანია მოვითხოვდით. ჩვენ იმასაც ვთხოულობდით, რომ მთავრობას არ შემოეშვა ისინი ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ წინდაუხედავობამ მაინც თავისი გაიტანა და თვითონ მთავრობამ გაავსო საქართველო იმ ელემენტებით, რომელნიც მხოლოდ მაშინ განიდევნენ, როცა მათ უკვე აზარალეს საქართველო ვინ უწყის რამდენი ასეული მილიონით. მაგრამ საქმე ამაში არ გახლავთ. აფრიკაშიც არ გაგონილა, რომ მთავრობამ მოქალაქეს ესა თუ ის უფლება მისცეს, მერე იგი დაიჭიროს ამ უფლებით სარგებლობისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოერთვას მას მინიჭებული უფლება. ან როგორ ერევა შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალიუტის მოწესრიგების საქმეში ფინანსთა მინისტრის დაუკითხავად? ასეთი ჩარევა სხვის საქმეში მეტის მეტად გახშირდა. აი უკანასკნელი მაგალითიც:

4 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიბარა ამხ. „აგაპოლ“-ის გამგეობა—დირექტორი ამხ. „არგო“-სი ს. სოლომონოვი, ცნობილი ტყავეულობის ვაჭარი მ. ხარაშვილი და გამგე კავკასიის საზ. სა საოფთიაქო საქონლით ვაჭრობისა კ. სარქისოვი. მიზეზი დაბარებისა აღმოჩნდა შემდეგი: ამხ. „აგაპოლს“ სავაჭრო ხელშეკრულება დადებია სოხუმის ეროვნულ საბჭოსთან. მათ შორის ამტყდარა დავა. ცხადია რომ დავა სასამართლომ უნდა გადასჭრას. სხვას არავის აქ საქმე არა აქვს. მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ მოითმინა და საქმეში ჩაერია. სამინისტროში დაბარებულებს არც კი მოუსმინეს და დაემუქრნენ: „თუ ორ დღეში არ გადაუხადეთ სოხუმის საბჭოს სადავო ფული, უარესად მოგექცევით, ვიდრე საქართველოდან განდევნილ სპეკულიანტებს მოვექეცით“.

სხვისი და საკუთარი საქმეების არევ დარევა და თვითნებობა ამაზე შორს ველარ წავა.

სავაჭრო-სამრეწველო პალატამ სთხოვა ფინანსთა სამინისტროს რათა მან დაიცვას ვაჭარ-მრეწველნი ადმინისტრაციის თვითნებობისგან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში შელახულია აგრეთვე სახელი და პრესტიჟი სასამართლოსი, რომლის გენერალ-პროკურორმა ბ-ნმა არსენიძემ დროა ხმა ამოიღოს მასალა მას საკმარისი აქვს. ნუნდ კ. თუმანიშვილის საქმე.

# უცხოეთში.

### ბულგარეთი.

პრაგის გაზ. „Русское дѣло“ სწერს: ბულგარეთში დღეს ძალა უფლება მიწის მუშათა პარტიის ხელშია. მთავრობაში შედის ყველა მიწის-მოქმედთა პარტიის წარმომადგენელები, რომელსაც ხელმძღვანელობს სტამბულისკი.

სტამბულისკი სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეში დიდს ენერგიასა და აქტივობას იჩენს. უნდა აღინიშნოს რომ სტამბულისკის მთავრობამ დიდი ისტორიული მისია შეასრულა. მან დაამშვიდა ქვეყანა, და დამარცხებული სახელმწიფოთა შორის ბულგარეთი ერთად-ერთი სახელმწიფოა, სადაც საზავო ხელშეკრულება არ დარღვეულა.

შინაური წესწყობილებისა და მდგომარეობის მხრით ჩვენ სრულის იმედით უნდა შევყურებდეთ ბულგარეთის მოავალს“.

### ბუნდიზმი პოლონეთში.

ბუნდის პარტია პოლონეთში ანტი სახელმწიფოებრივ პროპაგანდას ეწეოდა, ამის გარდა, მას აშკარა დამოკიდებულება ჰქონია რუს ბოლშევიკებთან. პოლონეთის მთავრობას ყურადღება მიუქცევია ამ გარემოებისათვის და სასტიკად აუკრძალნია მისი მოქმედება, მით უმეტეს, გამოირკვა, რომ ბუნდის პარტია უმთავრესად რუს ებრაელებისაგან შესდგებოდა. ხსენებულ პარტიას თურმე დიდძალი ფული მოსდიოდა მოსკოვიდან ბოლშევიკურ იდეების გასავრცელებლად. დიუბლინში პოლიციამ დაატყვევა შეთქმულ ბუნდელების კომიტეტი, აგრეთვე აღმოაჩნდა მათი ფარული სტამბა მთავრობის საწინააღმდეგოთ უკვე დაბეჭდილი კომპლექტებით.

### გერმანია და ლატვია.

გერმანიისა და ლატვიის სამეურნეო განწყობილება შეთანხმების რატიფიკაციით დამთავრდა. [illegible] ლება არ დაიდება [illegible] გერმანიას ვერსალის ხელშეკრულების ძალით ევალება აღიაროს ყველა ხელშეკრულება, რომელსაც პარიზში ელჩთა საბჭო მიიღებს რუსეთთან მოსაზღვრე სახელმწიფოების მიმართ. ორივე მხარის ზარალის ანაზღაურებას შეერთებული კომისია მოაწესრიგებს, გერმანიამ მიიღო ლივონიის ტერიტორიით თავისუფალი ტრანზიტის უფლება.

### რეინის პროვინციები.

„ჰამბურგერ ნახრიხტენი“ მოითხოვს, რომ საფრანგეთმა თავისუფლად გამოსთქვამს თავისი აზრი რეინის პროვინციებში სამხედრო ხაზის შესახებ, სანამდის ანაზღაურების ჯამზე თათბირი დაიწყებოდეს. იმ დროს, როდესაც „[illegible] ტაგებლატი“ აცხადებს: გერმანია საფრანგეთს სპეციალური მოლაპარაკება არკვევს ევროპის ატმოსფერას და ბრიუსელის კონფერენციის შეცდომებს ასწორებს.

### ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვა.

კასელში მეუმრავლესე სოციალისტთა მიტინგზე პარტიული ლიდერების დელეგატმა ველსმა მოითხოვა ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვა, დანგრეულ ოლქების აღდგენა, რომელსაც უნდა ხელმძღვანელობდეს პროფ. კავ. პროლ. გენერ. შემდეგ აუცილებელ ნეიტრალიტეტი და რუსეთთან დაუყოვნებლივ დამოკიდებულების აღდგენა მიუხედავათ იმისა, როგორი მთავრობაც არ უნდა იყვეს იქ. გოგენის (ცდა) ბერლინში რომ საფრანგეთთან მოჰიგება მომხდარიყო საფრანგეთის პოლიტიკის წინააღმდეგ დიდი პროტესტები გამოიწვია.

### დამოუკიდებელთა კონფერენცია.

დღეს ჰალეში გაიხსნა დამოუკიდებელ სოციალისტთა კონფერენცია. ორ მიმართულების შორის დიდი უთანხმოებაა.

# დეპეშები.

## ფრანგული ცნობები

### სურსათი საფრანგეთში.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ ზომები მიიღო საფრანგეთის უზრუნველსაყოფად სურსათის მხრივ, განსაკუთრებით კი გაყინულ ხორცით. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა ფასების გადიდებას ებრძოლოს.

### ვილნოს აღების გამო.

პოლონეთის მისიამ პარიზში განაცხადა, რომ პოლონეთში არ არის სოლიდარობა, გენ. ზელიგოვსკის მიერ ვილნოს დაჭერის გამო. ხალხთა ლიგის საბჭო აღელვებულია ვილნოს ოკუპაციით.

ლეონ ბურჟუამ ლიგაში ხალხთა ლიგის კომისიის თავმჯდომარეს დეპეშით აუწყა, რომ პოლონეთის მთავრობა მზათ არის სამწუხარო ინციდენტის ბოლოს მოსაღებლად ზომები მიიღოს.

### რუსეთის მდგომარეობა.

ბოლშევიკების შევიწროებათა გამო უკმაყოფილება თანდათან იზრდება რუსეთის სხვა და სხვა ნაწილებში. ბოლშევიკმა ბუდიონმა თავი დაანება ბოლშევიკებთან მუშაობას და თავისი კავალერიის ნაწილისაგან ანტი ბოლშევიკური რაზმი შეადგინა.

## გერმანული ცნობები.

„ფორვერტი“ იუწყება: გერმანიის კაბინეთმა ერთსულოვნად მიიღო ფინანსთა მინისტრის პროგრამა, მთავრობის ხარჯების შესამცირებლად. ახალი ხარჯები მის ნება დაურთველად არ იქნება გაწეული.

## რ. . ფ. ს. მისიის ცნობები·

### იაპონია და ჩინეთი.

ირკუტსკი, ენკენისთვის 25. ჩინეთის ახალი მთავრობის უკანასკნელ სხდომაზე გადაწყდა დარღვეული იქნას რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ჩინეთ-იაპონიის კავშირი და გამოწვეულ იქნას ჩინეთის ლაშქარში მყოფი იაპონელი ინსტრუქტორები.

### პური აზერბეიჯანისთვის.

ბაქო. ღვინობისთვის 9. ენკენისთვის 18 პეტროვსკიდან ბაქოში მოვიდა გემი „ელბრუსი“ 35,000 ფუთი ხორბლით და გემი „დაღესტანი“ 11,000 ფ ხორბლით.

### ნოსკეს გამორიცხვა პარტიიდან.

ბერლინი. ღვინობისთვის 8. ენკენისთვეში მომხდარ კილის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციების სხდომაზე დადგენილ იქნა პარტიიდან გამორიცხოს ნოსკე წევნა[illegible]

## სიმპტომები და მიზეზები.

2.

ავივე მარცხი, სიმპტომის და მიზეზის ერთმანეთში არევა, ახასიათებს მთავრობის თავმჯდომარის მეორე ბრძანებასაც, რომელიც სასურსათო საქმეს ეხება. „ერთობის“ აზრით ეს ბრძანება პოლიტიკურ სიბრძნეს შეიცავს, მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით „ერთობას“ ამ შემთხვევაშიც.

ზემოაღნიშნული ბრძანება ლოღიკური შედეგია იმ აუწერელ მდგომარეობისა, რომელიც შექმნა სოციალისტურმა მთავრობამ ჩვენს საზოგადოებაში. მოკლედ ჩვენ ეს მდგომარეობა შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც ცდა სოციალისტური იდეის განხორციელებისა საქართველოს კულტურულ ეკონომიურ პირობებში. სწორედ ეს თვალსაზრისი გვაძლევს ჩვენ ერთად ერთს სახელმძღვანელო ძაფს თანამედროვე საზოგადოებრივ ქაოსში. ყველაფერი ის, რაც მოხდა და დღესაც ხდება საქართველოში, ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ მხოლოდ „სუპ სპეცა სოციალიზმი“.

სოციალისტური მთავრობის ზეგავლენით ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება საშინლად გამარტივდა. საზოგადოებრივი დიფერენციაცია მოისპო. ყველანი ერთმანეთს დავემსგავსეთ: ქალი და კაცი, ყმაწვილი და მოხუცი, ჭკვიანი და რეგვენი, სწავლული და უსწავლელი. სამწუხარო ისაა, რომ ეს არის თანასწორობა არა ბედნიერებაში, არამედ უბედურებაში.

მართლაც, ქალი დაემსგავსა კაცს, რადგან ის იძულებული გახდა მიატოვოს თავის ოჯახის კერა და შიმშილისაგან თავის დასაღწევად მამაკაცს ამოუდგეს გვერდში ტოლ სწორ სამუშაოზე. რა მოელის ოჯახს ამის გამო, ცხადია: ოჯახი ინგრევა, ნორჩი ბავშვები, უპატრონოდ მიგდებულნი, ველურდებიან და იხოცებიან.—მოხუცი დაემსგავსა ყმაწვილს, სწავლული დაემსგავსა უსწავლელს, ჭკვიანი დაემსგავსა რეგვენს, ვინაიდან მოსპობილია თვით პრინციპი ადამიანთა საზოგადოებრივი შერჩევისა მათი გამოცდილების, განათლების და ჭკუის მიხედვით.

დღეს საქართველო წარმოადგენს უცნაურ საზოგადოებას, რომლის სოციალური ბუნება ბევრად არ განსხვავდება პირველყოფილ საზოგადოების სტრუქტურიდან. უკეთ რომ ვსთქვათ, თანამედროვე ქართული საზოგადოება სოციალისტების ზეგავლენით იმ ზომაზედ გამარტივდა, იმდენად გაერთფეროვანდა, რომ მას სტრუქტურა თითქმის სრულიად დაეკარგა. ორგანიზმს რომ სტრუქტურა ეკარგება, ის მკვდარია მაშინ.

აი ასეთ გაერთფეროვნებულ და საშინლად გამარტივებულ საზოგადოებაზე ჩვენი მთავრობა ახდენს სოციალისტურ ექსპერიმენტებს თავის პროგრამმა—მაქსიმუმის განსახორციელებლად: ვინ უნდა გაუწიოს მას წინააღმდეგობა, როდესაც ყველა კონტრფორსები, რომელნიც ამაგრებდენ საზოგადოებრივ წყობილებას, დანგრეულია.

თავისი ექსპერიმენტები მთავრობამ დაიწყო სახელმწიფოებრივი ადმინისტრაციიდან: მთელი ჩვენი თანამედროვე მართვა-გამგეობის ორგანიზაციას საფუძვლად დაედვა სოციალიზმის იდეა. მართალია, პიროვნების თავისუფალი ინიციატივი არ არის სავსებით უარყოფილი ჯერ-ჯერობით, მაგრამ ის შეზღუდულია სოციალიზმის პრინციპით. ეს გამოიხატება მრავალ მოვლენებში. ჩვენ აღვნიშნოთ მხოლოდ შემდეგი:

1. კერძო ალებ-მიცემა შევიწროებულია. სახელმწიფო მოხელეებს უმეტესი ნაწილი მათი ჯამაგირისა ეძლევათ სურსათ სანოვაგის სახით. მართლაც რომ ავიღოთ საშუალო ხელის სახელმწიფო მოსამსახურე, რომლის ოჯახი ხუთი-წევრისაგან შესდგება, მას მხოლოდ პურის სახით ეძლევა თვიურად შვიდიათას მანეთამდის.*) ეს თითქმის უდრის მთელს მისს ფულით მისაღებ ჯამაგირს. ამნაირად სახელმწიფო მოხელეს შეუძლია თავისუფალ ალებ-მიცემაში მიიღოს მონაწილეობა თავის შემოსავლის მხოლოდ უმცირესი ნაწილით.

2. საზოგადოებრივი შემოსავლის განაწილებას საფუძვლად უდევს არა წარმოების, არამედ მოხმარების პრინციპი. სახელმწიფო მოხელეთა ჯამაგირი განისაზღვრება მათი მოთხოვნილების და არა მათი შემოქმედებით შრომის ღირებულების მიხედვით. მართლაც, თუ კი უმთავრესი ნაწილი ჯამაგირისა სახელმწიფო მოხელეებს სურსათ სანოვაგის სახით ეძლევა და ფულის სახით მათ აძლევენ ჯამაგირის მხოლოდ უმცირეს ნაწილს, ცხადი ხდება, რომ ამ წყობილების აუცილებელი შედეგია ჯამაგირის თანდათანობითი გათანასწორება. კვალიფიკაცია შრომისა ამ მიზეზის გამო თითქმის მოსპობილია, ვინაიდან ის ნაწილი ჯამაგირისა, რომელშიდაც გამოიხატება განსხვავება სხვა და სხვა შრომის წარმომადგენელთა შორის, არის მხოლოდ ფულით მისაღები ჯამაგირი. ეს უკანასკნელი კი მცირეა ნატურით მისაღებ ჯამაგირთან შედარებით. ამისთვის ინჟინერის შრომა დღეს ფასდება თითქმის ისე, როგორც შავი მუშის, რადგანაც განსხვავება მათ ჯამაგირებს შორის მხოლოდ ფულით მისაღებ ჯამაგირში გამოიხატება: სურსათ სანოვაგეს ორივე ერთნაირი საზომით ღებულობენ და სწორედ ეს უკანასკნელი ფორმა ჯამაგირისა სჭარბობს ჯამაგირის მთელს რაოდენობაში. ბოლოს და ბოლოს ეს არის თავისებური სოციალიზმი, აგებული მოხმარების გათანასწორების იდეაზე. ასეთი ფორმის სოციალიზმის დამყარებისათვის თვითონ მარქსი გაამათრახებდა თავის რეგვენ მოწაფეებს, ვინაიდან მარქსი ხედავდა ახალი საზოგადოებრივი წყობილების საფუძველს არა განაწილებაში არამედ წარმოებაში. მაგრამ მარქსსაც ხომ გაგება უნდა.

3. თავის გეგმის ცხოვრებაში გასატარებლად სოციალისტურმა მთავრობამ დააკისრა სახელმწიფოებრივ აპპარატს ეკონომიური ფუნქციები: სურსათ-სანოვაგის შეძენა. ამნაირად სურსათ-სანოვაგის სახელმწიფოებრივი აპპარატის საშუალებით შეძენა და განაწილება არის უკანასკნელი რგოლი იმ ზომებისა, რომელსაც აერთებს ერთი სოციალისტური იდეა. როგორ უპასუხა მერე სინამდვილემ ამ იდეას?

ბ. ნ. ჟორდანიას ბრძანება ნათელყოფს იმას, რომ საქართველოს მთავრობამ ვერ შესძლო თავისი სოციალისტური პროგრამის ცხოვრებაში გატარება. აღმოჩნდა, რომ ის საზოგადოებრივი მასალა, რომელზედაც ჩვენი მთავრობა თავის სოციალისტურ ექსპერიმენტებს აწყობს, არ არის მომზადებული ამ ექსპერიმენტებისთვის. **საზოგადოებრივი წესით წარმოებული საქმე საქართველოს კულტურულ პირობებში განცილებით უფრო ძვირად ჯდება კერძო ინიციატივით წარმოებულზე.** გამოირკვა, რომ სახელმწიფო ქონება, მთავრობის სოციალისტური გეგმების წყალობით, ქურდ-ბაცაცების სათელავი შეიქნა. ელემენტარული ცოდნა ჩვენი ცხოვრებისა საკმაო იყო, რომ ეს მოვლენა წინასწარ გვეთვალისწინებია: სად საქართველო და სად ჩინოვნიკების საშუალებით ეკონომიური ოპერაციების წარმოება! განა ეკონომიური ოპერაცია ასეთი მარტივი რამ არი, რომ მისი კონტროლი სახელმწიფოებრივ ორგანოებმა შესძლონ? განა ჩვენი საზოგადოების წევრი იმ ზომაზე გავითარებულია რომ მან კონტროლის გარეშე საზოგადოებრივ ინტერესებს პირადათლად ემსახუროს იმ შემთხვევაშიც როდესაც კერძო ინტერესი პირდაპირ უკარნახებს მას საზოგადოებრივი ინტერესის დარღვევას? ვინც ამ კითხვებს არ ამჩნევს, ის უნდა იყოს ან უტოპისტი, განყენებულ წარმოდგენებით გატაცებული, ან და... დახელოვნებული ქელიკი, რომელიც ნიჭიერად ფარავს თავის ანტი-სოციალურ ინტერესებს სოციალისტის წითელ ქურქში. მე ვფიქრობ, რომ პირველი კათეგორიის ხალხი სოციალისტების ბანაკში მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენს.

ყველა ზემოთქმულიდან ცხადია, რამდენად ზერელე და სუსტია მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება, რომელიც სასურსათო საქმეს ეხება. ეს ბრძანება სპობს სიმპტომს, მოლენის მიზეზს კი ხელუხლებლად სტოვებს. რა გამოვა იმიდან, რომ ბოროტ მოქმედებაში შემჩნეული სურსათ-სანოვაგის გამგე მოხელეები დაითხოვა მთავრობამ, თუ თვით პირობები რომლებიც ქმნიდენ ამ ბოროტ მოქმედებას, უცვლელად დარჩებიან. ბოლოს და ბოლოს ბოროტ მოქმედებაში შემჩნეულ მოხელეებს ნაკლები დანაშაული მიუძღვით საზოგადოების წინაშე, ვიდრე იმათ, ვინც შექმნა ობიექტიური პირობები ამ ბოროტ-მოქმედებათვის ხელსაყრელი. განა ეს არ უნდა ესმოდეს მარქსის მოწაფეებს, მაგრამ რა გაეწყობა, როდესაც მათ ვერ შესწევთ ძალა შინაგან წინააღმდეგობათაგან თავის დასაღწევად და მხოლოდ პალლიატივებში ეძებენ ხსნას.

ყოველი პალლიატივი ახალ პალლიატივს იწვევს, რაც საშინლად ართულებს მდგომარეობას. მთელ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებას აწესრიგებენ ერთი მეორის მოწინააღმდეგე პალლიატივები: სოციალისტური იდეა ვერ ღებულობს ჩვენს პირობებში ადექვატურ ფორმას და ამით ამტკიცებს თავის მოუმწიფებლობას.

გამოსავალი გზა აქედან მხოლოდ ერთია: ჩვენ ვერ ვივლით ახალი პალლიატივების გზით, გვეყო სიმპტომების ქექვა; უნდა უარვყოთ თვით ის პრინციპი, რომელზედაც სოციალისტები ფიქრობენ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების აშენებას. მხოლოდ ეს გააჯანსაღებს ჩვენს დაავადებულ არსებობას. კერძოთ სასურსათო საქმეში ჩვენი მოთხოვნილება ასეთია: არ გვინდა, ბ. ჟორდანია, თქვენ მიერ დამზადებული სურსათ სანოვაგე. მოგვეცით ჩვენი შრომის ფასი ფულად და დაგვანებეთ ჩვენ თვითონ მოუაროთ ჩვენს თავს ისე, როგორც ამას უჩვენებს თითოეულს ჩვენ ჩვენი გონება. თქვენმა მოვლამ და პატრონობამ აგვიკლო: სიცივით დაგვტანჯა, ტანზე სამოსი შემოგვაცვითა, პურის მაგიერ ტალახი გვაჭამა. გვეყოფა ეთ ამდენი უბედურება!

*) ასეთ მოსამსახურეს ეძლევა დღიურად ხუთი გირვ. პური, 30 მანეთად. საბაზრო ფასთან შედარებით ეს შეადგენს განსხვავებას 250 მანეთს დღეში, თვეში კი 7500 მანეთს,

...ქალიდან კაპამდე ს დაბეჭდვის გამო, ...ვაც შეურაცხყოფილია. ...ნაგები.

### საბჭოთა მხრიის ცნობები.

ყირიმი.

...ბათომში. ღვინობისთვის 11 ყირიმიდან მიღებული ცნობების თანახმად ...იმში გირვანქა პური ჰღირს 3,000 მანეთად, და ისიც ბაზარზე სრულებით ...მოიპოვება. გირვანქა შაქარი 10.000 მან. საკასტიუმო საქონელი 1,000,000 ... 1, 200, 100 მანეთად. თვიურ ჯამაგირს იძლევიან 60,-70, ათას მანეთს. ...ამ ფულით ცხოვრება არ შეიძლება ... ზოგი სპეკულიაციაცის ეწევა, ზოგი ...თამე ღატაკობს.

## ს. ს. გ ნუ. ცნობები.

ქემალის ლაშქარი.

...ტამბოლი. ღვინ. 8 პრესის ცნობით ...ცირე აზიაში ჯარი შესდგება ორი არმიისაგან ...ლომ სახელდობ ოლქების არმიისაგან. იამიდის ჯარის შედგენს 13 14 20 კორპუსი, მას სათავეში მუსტაფა ქემალი უდგის. მცირე არმიას 3 კორპუსი შეადგენს. მას ხელმძღვანელებს ვეზირ ფარატ ექერ ფაშა. პირველ არმიაში 24813 ჯარის კაცი და 625 ოფიცერია. მცირე არმიაში 50000 ჯარის კაცია. სტამბოლში მიღებული ცნობებით ამ ცოტა ხანში ქემალისტებს იარაღი და სამხედრო მასალა ეიოფიაქ.

ფიქტიური შეუღლება.

ბერლინი, ღვინ. 2 უცხოეთის ტყვეებს. რუს ინტელიგენტ ქალებს შორის ხდება ფიქტიური შეუღლება იმ მიზნით რომ რუსეთიდან გასვლის ნებართვა მიიღონ.

ვარშავა. ღვინ. 2 თანახმად ვარშავის პრესის ცნობისა პოზნანში სეპარატიული ტენდენციები ძლიერდება პოზნანზე მცხოვრებთა განწყობილების გამოსარკვევად მთავრობამ სათანადო კომისია გაემგზავრა.

პარიზი. ღვინ. 2 „ეხო დე პარი" იუწყება: სიმფერენთა ერთ ერთმა ხელმძღვანელთაგანმა არტურ გრიფიტმა განაცხადა: ირლანდია მიაწევს მას, რომ იგი დამოუკიდებელ რესპუბლიკად იცნონ. მოწყობილი პარლამენტი, რომლის 75 წევრისაგან შესდგება ... სამინისტროები, სასამართლო და ჯარი. ირლანდიის რესპუბლიკას ზოგიერთ ქვეყნებში თავისი წარმომადგენლებიც კი ყავს. ჯარი 200,000 კაცისაგან შესდგება.

იტალიის მუშები.

რომი. ღვინ. „სეკოლო" იუწყება: იტალიის მუშათა მოძრაობაში ტრაგედია და კომედია ერთმანეთზე არის გადაწნული. მუშები, რომლებმაც ქარხნები დაიკავეს და მათი სოციალიზაცია გამოაცხადეს თავის ამარა დარჩნენ. მუშებმა მილანის სამრეწველო რაიონში 160 ქარხანა დაიკავეს, ამასთანავე თითო ქარხანაში დაახლოვებით 100 დან რამდენიმე ათასამდე მუშა მუშაობდა. უკანასკნელი დღეებში მოწოდება გამოუშვეს ენერგიულ მუშაობის დაწყების შესახებ. ბრძანებას მუშები მტრულად შეხვდნენ, ინჟინერები და ტეხნიკები ფაბრიკებში აღარ მიდიან, რამაც მუშაობა მეტად დააბრკოლა. შესწყდა ნედლი მასალის მიწოდება. განხეთქილება და უკმაყოფილება ფულის ნაკლეულევანებამ და ხელფასის შეუძლებლობამ გამოიწვია. ამიტომ მუშებმა გადაწყვიტეს დათმობაზე წასვლა და ქარხნების მეპატრონეებთან მოლაპარაკება გამართეს. მოლაპარაკება მთავრობის წარმომადგენლების მონაწილეობით სწარმოებს. გაზეთების ცნობით ქარხნების მოქმედება უკვე შეწყდა.

ბერლინი. ღვინ. „ფოსიშე ცეიტუნგი" იუწყება: რესპუბლიკურ პარტიის წევრი ბრიტენი ამერიკის კონგრესზე ვაშინგტონში მყოფ ინგლისის ელჩის გერფესის წინააღმდეგ ბრალდებით გამოვიდა. ბრიტენი ინგლისის ელჩს ბრალს სდებდა იმაში, თითქოს უკანასკნელს ინგლისიდან დემოკრატიულ პარტიის კოკსის კანდიდატურის სასარგებლოდ წინასწარ აგიტაციის გასაწევად სათანადო თანხა მიეღოს. ინგლისის მთავრობამ ასეთი ბრალდება ოფიციალურად უარყო, რის საპასუხოთაც ბრიტენმა განაცხადა, რომ იგი მალე ინგლისის ელჩის დამამცირებელ დოკუმენტებს გამოაქვეყნებს.

რუსეთის ცნობები.

მოსკოვი. ღვინ. 13. პრესის მიმოხილვა. „პრავდის" მოწინავე სწერს: მუშებო, გლეხებო. წითელი არმიელები იცავენ თქვენს უფლებებს და მიწაზე თუ თქვენ არ გინდათ მხეც მემამულის, ფაბრიკანტის და მეფის გენერლის დაბრუნება, მიეცით ფრონტს ის, რასაც იგი საჭიროებს; ფრონტზე და ზურგში ერთი საქმე უნდა კეთდებოდეს:—ბრძოლა ვრანგელთან. მთელი საბჭოთა რუსეთში მუშებისა და გლეხებისათვის ერთი ლოზუნგი უნდა არსებობდეს შეკერეთ ფარაჯები, ამზადეთ ფეხსაცმელები, შეკრიბეთ თბილი საცვლები, მაშინ ფრონტი შეასრულებს თავის საქმეს. მშრომელები უნდა დაეხმაროთ იმ ჯარს, რომელიც მათსავე ინტერესს იცავს. დაეხმარეთ ფრონტს, ამხანაგებო და გამარჯვება ჩვენს ხელთ იქნება.

წითელი ტეხნიკები ეხმარებიან ფრონტს როგორც კი გაიგეს მძიმე ფრონტის დამარცხების შესახებ, წითელმა ტეხნიკებმა ფრონტის სასარგებლოდ თავის ჯამაგირის ნახევარი გადასდვეს, გადასდვეს აგრეთვე კუთვნილი მახორკა, სანთი და ერთი დღის ულუფა, მიხაილოვის მანუფაქტურის ქარხანის მუშებმა და მოსამსახურეებმა საერთო სხდომაზე დაადგინეს: ერთი კვირის განმავლობაში მთელი ფრონტის სასარგებლოდ ორ ორ საათი ზედ მეტი იმუშაონ.

გაზ. „პელაში საბახი" სწერს: „ჩვენი ქვეყნის დამშვიდება დამოკიდებულია, ანატოლიის დამშვიდებ. მოკავ. სურვილია სევერის ხელშეკრულების თანახმად ოსმალეთის განმტკიცება. ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა, პირდაპირ უპასუხოთ მათს კეთილ სურვილს. მოკავშირენი მზად არიან დაგვეხმარონ და ჩვენი პოლიტიკური სიბრძნე მოითხოვს მათთან ერთად ვიყოთ ამ შემთხვევაში ანატოლიას დიდიხნით არ შეუძლია სტამბოლის გარეშე არსებობა; როგორმე უნდა მოხდეს ქემალისტების ლიკვიდაცია."

## სომხეთ ოსმალეთის ომი.

სომხეთი.

სომხეთის რესპუბლიკის პარიზის დელეგაციის თავმჯდომარე ა. აგარონიანი მოკლე ხანში მიემგზავრება ვაშინგტონში ვილსონის სანახავად.

—

ბრიუსელის საერთაშორისო ფინანსიურ კონფერენციას სომხეთის მხრით დაესწრო ყოფილი ფინანსთა მინისტრი ა. ა. ენფიანჯიანცი და რ. ბერბეროვი.

—

ოსმალეთის მთავრობამ ამერიკაში გაგზავნა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე სენატორი რიზა ტეფიკ ბეი, რომელმაც უნდა გამოარკვიოს სომხეთ ოსმალეთის საზღვრები.

—

ჩილაკას უნივერსიტეტში აღმოსავლეთის ენათა კათედრაზე შემოღებული იქნა რუსულ-სომხური ენის განყოფილებაც.

—

სომხეთის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება. შინაგან საქმეთა სამინისტრომ აუცილებელ საჭიროებათ გამოაცხადა სამხედრო ვალდებულთა მობილიზაცია 32 წლამდი. ადმინისტრატიულ დაწესებულებებს წინადადება მიეცა ვრცლად გააცნონ მცხოვრებლებს შექმნილი მდგომარეობა. დეზერტირები სამხედრო ნაწილის აღრიცხვის უფროსებს უნდა წარედგინოს.

—

ერევანი. ღვინობ. 12. მთავრობის განკარგულებით რადიო სადგურები და ავტო-გარაჟები გადაეცა სამხედრო სამინისტროს.

განათლების სამინისტრომ სომხეთის ფინანსიურ აგენტს გადასცა 200,000 მანეთი ნეიტრალურ ზონის სკოლების შესანახავად.

—

სამხედრო მინისტრის განკარგულებით თავდაცვის რაზმის მეცადინეობა განახლდა ასეთ. მეცადინეობაზე უნდა გამოცხადდენ მოქალაქენი 34—40 წლამდი. ვინც გადაიმალება, მას პასუხისგებაში მიცემენ.

## სადრამო თეატრი

თეატრი ტაძარია, მსახიობი მღვდელმსახური, ხოლო დრამ —ლიტურღია.

ქართულ მელპომენეს სამივე ელემენტი ნაკლულევანი არ ჰქონებია! ავად თუ კარგად ყოველი ფერი წესიერად მიდიოდა. მხოლოდ მაშინ შესწყდა ის, როდესაც ბედმა სიმბოლურად ტაძარი ჩაგვიწყვიტა და განრისხებულმა მარეხმაც საჭურველი აისხა.

პარადოქსად ნუ გეჩვენებათ, რომ გავიმეორებ, რომ თუნდაც თეატრი არ და წყალი ყოფილიყო, ჩვენი დრამა მაინც დაიღუპებოდა, არა იმიტომ, რომ მუზას არ უყვარს ხმაურობა, იგი ლაჟვარდ ცის ქვეშაა დაბადებული და მხოლოდ კასტალიის წყაროში უყვარს ნებივრად ბანობა...

დღეს ომის ღმერთი დასცხრა და გამოდარებისთანავე ვხედავთ, რომ დიდი ცვლილება მოხდარა ჩვენს თავზევე. ჩვენ არა ვართ „გუშინდელნი", ჩვენ ვართ „დღევანდელნი". გუშინდელი ძველს საქართველოს ჩაჰბარდნენ, მონობისა და და ვაების ჭირისუფალთ, რომელთა გალობა შავი გედების მოზარე ყოველი იყო. ამ მხრივ ნიკო ბარათაშვილის „ბედი ქართლისა" ორბელიანის „იმედი", ილიას „ქართლის დედა", აკაკის „ამირანი მიჯაჭვული", ვაჟას „ბახტრიონი", ერისთავის „სამშობლო", სუმბათაშვილის „ღალატი" და იაკობ ნიკოლაძის მიერ ილიას საფლავზე ამართული იგივე „ქართლის დედა" ეს ის დაუსრულებელი სევდის ჰანგია, რასაც მოგვღეროდნენ „გუშინდელნი", შავ ჩადრებში გახვეულები ყოფილი საქართველოს მონობის ჭირისუფალნი.

ომმა შესწყვიტა მოზარეთა ხმა. გარდამავალმა ხანამ დიადი შემოქმედების ფეხმძიმეობა. მაგრამ აი, ჩაიწყდა საყვირთა ხმა, ფარხმალი ისევ კუთხეში მიიკიდა და ეხლა ხელფეხი გახსნილია. საქართველო განახლდა და განახლდა უჩვეულოდ, განახლდა დამპყრობელი ამირანის ხმით! ყველა „გუშინდელმა", „დღევანდელმა" იგრძნო თავი. ყველგან ფუსფუსია, ყველგან ელმუშენებლობა. ჩვენი თეატრის გარშემოც გატაცებული მუშაობა. ეხლა უკვე ყოველისფერი თავის რიგზეა: ჩვენ გვაქვს ტაძარი... მას ჰყავს პატრონი,—თვით მთავრობა! მსახიობთა შორის არაა ნაკლულოვანება. ყველანი აქ არიან, არა როგორც გერები, არამედ როგორც ნამდვილი მოქალაქენი. მათი პირველი სიტყვა არის „გუშინდელნი", შ. დადიანის პიესა. ჩვენი სურვილია, რომ „გუშინდელნი" შესრულონ „დღევანდელებმა" და არა „გუშინდელებმა". მათ უნდა დასწვან ყოველისფერი ის, რასაც ეთაყვანებიან და „გუშინდელნი" და საზოგადოდ დაბალ ღირსების გამოვიენება, ზნის შალონი! მათ უნდა თაყვანი სცენ მას, რასაც მოითხოვს დღევანდელი განახლება: ჭეშმარიტი ესთეტიკა.

ქართველ ჭეშმარიტ ქურუმნს და ხელოვან მღვდელ-მსახურთა ხილვას შევნატრით პირველ ფარდის შერხევის თანავე...

დ. კასრაძე.

## საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის მემორანდუმი.

პრესაში გამოქვეყნდა ტექსტი ნოტისა რუსეთის საკითხის შესახებ, რომელიც ამ ბოლო დროს შეერთებული შტატები მთავრობამ გადასცა ვაშინგტონში მყოფ იტალიის ელჩს. რადგან ამ პრობლემის, ზოგიერთი მხარე მეტად საქართველოს პოლიტიკურ მომავალში, საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციას თავის მოვალეობამ მიაჩნია წარადგინოს საქართველოს ნამდვილი ვითარება ამერიკის ნოტაში აღნიშნულ დოქტრინების მიმართ.

ეს განმარტება მით უფრო საჭიროა რომ ამ ნოტაში განვითარებული პრინციპები ფაქტიურად დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკურ არსებობის ხელაღებით უარისყოფასთან ერთად, გულისხმობენ აგრეთვე საქართველოს მიერ პოლიტიკურ დამოუკიდებლობის ადმი მისწრაფებათა კანონიერების უარისყოფას. ამ რიგად ეს უარყოფა, აღნიშნული ერთ ერთ უდიდეს სახელმწიფოს მთავრობის დიპლომატიურ დოკუმენტში უთუოდ დიდ ვნებას მიაყენებს ქართული დემოკრატიის პოლიტიკურ ინტერესებს. ხსენებულ ნოტაში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამანადგურებელნი დასკვნანი ერთავად ბუნებრივად გამომდინარეობენ რუსეთის ტერიტორიის განთქმულ მთლიანობის დოგმიდან. ეს ინტეგრალობა ნავარაუდევია რუსეთის ძველის იმპერიის მთლიანობით, გარდა ფინეთისა ნამდვილ ეთნიურ პოლონეთისა და იმ ტერიტორიისა. რომელიც როგორც შედეგი განსაზღვრულ შეთანხმებისა, შესაძლებელია შეადგენდეს სომხეთის სახელმწიფოს.

ცხადია რომ ძველი რუსეთის ტერიტორიალურ მთლიანობის პრინციპი უკვე საკმაოთ შელახულია იმ საგამონაკლისო ნაწილების ჩამოთვლით, რომელთა მნიშვნელობაც მეტად დიდი იყო რუსეთის იმპერიაში მაგრამ ვკითხოთ თვითეს საზღვარდებულ გამონაკლისი, რა გვარ სიმართლეზეა აგებული, დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებანი ამ ეროვნებათა (პოლონელებისა, ფინლებისა და სომხების) კანონიერია და სხვა ასეთია ის ახსნა, რომელსაც ნოტა იძლევა მიუხედავათ რუსეთის მთლიანობის პრინციპისა შეერთებულ შტატების გადაწყვეტილების გასამართლებლად ამ სამი „დამოუკიდებლობის" აღიარების დროს.

საქართველომ დაიცვა თვისი საკითხი საზავო კონფერენციის წინაშე. იგი მზადაა დაიცვას ესევე ერთა ლიგის წინაშე და განუწყვეტლად თხოულობს თვის, უკვე არსებულ და ფაქტიურად ცნობილ დამოუკიდებლობის ფორმალურად აღიარებას რაიც შეეხება. „დამოუკიდებლობისადმი მისწრაფების კანონიერებას", საქართველოს ვერ გაუგია თუ რითი განსხვავდება მისი საქმე სხვა ანალოგიურ საკითხთაგან იმ დროს, როცა ლაპარაკია ისეთს ხალხებზედ, რომელთაც მკაფიოდ გამოსახული ნაციონალური ინდივიდუალობა აქვთ თვისი ნაციონალიური შეგნებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებით შესაქმნელად საქართველოს როდი ულოდინებია პრეზიდენტ ვილსონის განთქმულ 14 პუნქტის გამოქვეყნებისათვის.

მართალია, თვის ისტორიის განმავლობაში საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობა ხშირად დამცირებულა, ზოგჯერ განადგურებულა კიდეც მის მეზობლად შექმნილ დესპოტიურ და გაჰივრებულ იმპერიათაგან. მაშინ ოსმალეთსა და სპარსეთს, მაგალითად, შეეფერებოდათ ემტკიცებიანათ „უკანონობაა ქართველი ხალხის პოლიტიკურ დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებისა" რათქმა უნდა, ამავე აზრისა იყო რუსეთის ძველი იმპერიაც და სწორეთ გასაოცარია როდესაც აძგვარისავე მოსაზრებების განმეორებას ვპოულობთ ვაშინგტონის მთავრობის ნოტაში.

საკითხავი უკვე აღარაა, საქართველოს მისწრაფება პოლიტიკურ დამოუკიდებლობისადმი კანონიერია თუ არა. არა თუ მხოლოდ 1918 წლის 26 მაისიდან არსებობს საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არამედ 1920 წლის იანვრიდან იგი აღიარებული, როგორც ასეთი, საფრანგეთისა, დიდი ბრიტანეთისა, იტალიისა და იაპონიის მიერ, ხოლო მცირე ხნის შემდეგ გენერალ დენიკინის და საბჭოთა მთავრობისაგან. როდესაც საქართველო აღიარეს, ზემოხსენებული დიდი სახელმწიფონი, უეჭველია, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს აქტი სავსებით ეთანხმებოდა მათს სიმპატიებს რუს ხალხისადმი და აგრეთვე ჭეშმარიტად გაგებულ ინტერესებს ახალი, თავისუფალი და დემოკრატიული რუსეთისას, რომელიც თავს დააღწევს დღევანდელ ქაოსს.

საქართველო იმედოვნებს, რომ ზემოხსენებულნი სახელმწიფონი განაგრძობენ არჩეულ გზას და გვერდს აუქცევენ რუსეთის მთლიანობის ყალბსა და სათუო კონცეპციას: რომ იგინი ამ ფუქსავატ დოქტრინისათვის ზვარაკად არ მიიტანენ სოციალ პოლიტიკურ ორგანიზმებს, რომელი უკვე წესიერად არსებობენ იმ ფარგლებში, სადაც ოდესმე რუსეთის მთელნიც იმპერია იყო და რომ ამ სახელმწიფოთა, ხოლო კერძოდ კი საქართველოს ფორმალურისა და იურიდიული ცნობით საზღვარს დაუდებენ დროებით, რათ ადგილი დაეთმოს საბოლოს.

საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალური აღიარება წინააღმდეგ ამერიკული ნოტის აზრისა, არაფრით არ შეუწყობს ხელს რუსეთის „დანაწილებას" რუსეთის ერთიანობა შთანთქამან რასაც ისტორიული კატასტროფა ეწოდება: ამ ჟამად მოწმენი უნდა გავხდეთ დემოკრატიული რუსეთის აღორძინებისა. ეს იქნება უცილოდ უდიდესი იმპერია, თუ კი შესაძლო გახდა ყველა ნამდვილი რუსულ ტერიტორიის ერთად ერთს სახელმწიფოში თავის მოყრა. ეს უკვე თავის თავად საკმაოდ ძნელი და დიდი ამოცანაა.

მაგრამ მომავალს რუსეთს ცუდ სამსახურსა და მრჩევლობას გაუწევს ისინი, ვინც შეეცდება რუსეთის მყობად ერთეულში იმ ერების კვლავ შეერთებას, რომლითაც ეს არა სურთ, არც რუსები არიან და რომელთაც მოგვცეს მტკიცე საბუთი თვითგამგებლობის ნიჭისა.

ამ მხრით ქართველი ხალხის მძლეობა და პოლიტიკური ენერგია საკმაოდ დამტკიცებულია. კომპეტენტური და მიუდგომელნი მსაჯულები შესაძლებელია არა ერთ ნაკლს ეპოვნიან საქართველოს რესპუბლიკის ორგანიზაციაში, მაგრამ ამასთანავე დაადასტურებენ სიმტკიცეს მას დაწესებულებათა წესიერებას შექმნილსა და დაცულს მთელი ერის მეცადინეობით: მიუხედავად რუსეთის ანარქიისა და თურქულ სპარსული გახრწნილობის მეზობლობისა, რათა დაეფარა ეს ნაყოფი, ღონისძიება ეხმარა ბოლშევიკურ შემოსევისა და სენის წინააღმდეგ.

ამერიკის ნოტა იქამდეც კი მიდის, რომ ართმევს საქართველოს თვისებას რესპუბლიკისას: ამ სახელმწიფოს იგი აგრედ წოდებულ საქართველოს რესპუბლიკად ნათლავს. საქართველოს მთავრობა თვის ხელისუფლებას ღებულობს დამფუძნებელ კრებისაგან რომელიც საყოველთაო კენჭის ყრით კანონიერადაა არჩეული მთელი მცხოვრებლების მიერ: ყოველგვარი თავისუფლება, მათ შორის თავისუფლება ბეჭდვითი სიტყვისა უზრუნველყოფილია საქართველოში, სამართალი, ადგილობრივი თვითმართველობა და უფლებანი ეთნიურ უმცირესობათა დამყარებულია უუდემოკრატეს საფუძველზე. ერთი სიტყვით, ის, რაც საბჭოთა რუსეთის რეჟიმს აკლია, სავსებით განხორციელებულია საქართველოს დაწესებულებებში. საქართველოს ამოქმედო პოლიტიკის სისტემა მთელი ქვეყნის მიერ ცნობილია როგორც რესპუბლიკანური.

საქართველო დარწმუნებულია, რომ დიდი სახელმწიფონი, რომელთაც ფაქტიურად სცნეს იგი და რომელთაც უკეთესი ცნობები აქვთ ჭეშმარიტი აზრის შესადგენ და, თუ რას წარმოადგენს ნამდვილად საქართველო, არასოდეს არ მიიღებენ მონაწილეობას, პირდაპირ იქნება თუ არა პირდაპირ, იმ დამოუკიდებელი რესპუბლიკის დანგრევაში, რომელიც ქართველ ხალხს აუშენებია; მას სწამს, რომ ეს სახელმწიფონი არასდროს არ გაჰყვებიან რუსეთის იმპერიის ტერიტორიალურ მთლიანობის დახავსებულს მექანიკურ თეორია და რომ იგინი, მომავალი რუსეთის აღორძინებისათვის სრულიადაც საჭიროდ არ მიიღებენ განადგურებას, გინა მორალურ თანაზიარობას იმ ახალ რესპუბლიკათა დამხობათ რომელნიც ძველი რუსეთის ფარგლებში აღორძინდნენ, კერძოთ კი საქართველოს რესპუბლიკისას.

# ახალი ამბები.

### სამინისტროებში.

— შრომის სამინისტროში. არსენალში არსენალის ადმინისტრაციას აუწყა შრომის სამინისტრომ, რომ არსენალის პატრონა-ყუმბარათა სახელოსნოების მუშათა საერთო კრებამ დაადგინა წინადადება მისცეს ადმინისტრაციას, რომ მან ქარხნის კომიტეტის თავმჯდომარეს 8 საათის მაგიერ დღეში 16 საათის ხელფასი მიეცეს და აგრეთვე ქარხნის კომიტეტის წევრებს ზედმეტი სამუშაოსათვის მისცეს ფული. ზედმეტი დრო უნდა განსაზღვროს საქარხნო კომიტეტმა. არსენალის ადმინისტრაცია აუწყებს რა ამ დადგენილებას შრომის სამინისტროს, კითხულობს უნდა შეასრულოს, თუ არა მან მუშების ასეთი დადგენილება. შრომის სამინისტრომ არსენალის ადმინისტრაციას განუმარტა, რომ მან უნდა მისდიოს იმ წესრიგს, რომელიც ხელფასის მიცემაში არის დაწესებული.

ამ წესების თანახმად კომიტეტის თავმჯდომარე ღებულობს ჩვეულებრივ ხელფასს. ამასთანავე შრომის სამინისტრომ მუშების ასეთი მოთხოვნილების შესახებ აცნობა მელითონეთა პროფ. კავშირის გამგეობას. ამასთანავე შრომის სამინისტრომ აღნიშნა, რომ თუ ქარხნის კომიტეტის წევრები ეწევიან საზოგადოებრივ მუშაობას, ეს მათ უნდა აუნაზღაუროს თვით მუშებმა და არა ადმინისტრაციამ.

— სახელმწიფო შემოსავალი. თანახმად ფინანსთა სამინისტროს ცნობებისა სახელმწიფო ხაზინაში სექტემბრის პირველ ნახევარში სახელმწიფო შემოსავლის სახით 94. 499. 460. მან. შემოსულა. ამ თანხიდან საქცაზო გადასახადის სახით შემოსულა 80. 178. 990 მან., საბაჟო გადასახადის სახით 11 783. 671. მ. პირდაპირ გადასახადის სახით კი 2 536.499 შედარებით წინანდელ თვესთან სახელმწიფო გადასახადის შემოსვლა ხაზინაში 32.121.526. მან. გადიდებულა. საბაჟო გადასახადის სახით ამ თვეში შემოსულა ნაკლები ვიდრე წინეთ. ეს ფუფუნების საგნების შემოტანის აღკრძალვით აიხსნება.

### სხვა და სხვა

— საბაჟო ტარიფი. სავაჭრო სამრეწველო პალატის კომიტეტმა შემოსატან და გასატან საქონელზე არსებულ საბაჟო გადასახადის გადასას ნჯად საკანონმდებლო კომისია აირჩია. ამ კომისიამ უნდა განიხილოს აგრეთვე სია იმ საქონელთა, რომელთა შემოტანაც რესპუბლიკაში აკრძალული არის.

— მუშებისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდება. ფაბრიკების და ქარხნების მუშების პროფესიონალურმა კავშირმა ქალაქის საბჭოს თხოვნით მიმართა მოაწყოს ხარფუხ-ორთაჭალის რაიონში იაფფასიანი ქალაქის სასადილო და ხორცის კოოპერატიული დუქანი. საკითხი განხილველად სოციალურ დახმარების განყოფილებას გადაეცა.

— ბაზრის ფასები. თანახმად სავაჭრო-სამრეწველო პალატის ცნობებისა ტფილისის ბაზარზე ოქტომბრის 12 სურსათ-სანოვაგეზე შემდეგი ფასები არსებობდა: ხორცი გირვანქა-80 მან., კამბეჩის ხორცი გირვანქა-45 მან., ქათამი 40 მ., წიწილი 150 მანეთიდან, ინდაური 500 მან., ბატი 450 მან., ხიზილალა 1.000 მ. კარაქი გირვანქა 450, გადამდნარი ერბო 550 მან. ათი კვერცხი-200 მან., ქართოფილი ფუთი-130 მან., კომბოსტო-350 მ., თეთრი თაფლი-300 მ. ყველი-200 მ., თეთრი ფქვილი ფუთი 6.500 მ. ადგილობრივი ფუთი 3.000, სიმინდი ფუთი 1.800 მ. წითელი ღვინო 1.200 მ. თეთრი-1.400 მ.

— რკინის გზებზე. რკინის გზის სამართველომ კვლავ განუმეორა რკინის გზის სადგურებს, რომ მოსამსახურეთა ან ადმინისტრატიულ პირთა ვაგონის მიბმა ყველ სამგზავრო მატარებელზე არ შეიძლება, და უნდა მიებას მხოლოდ მატარებელს № 20—22.

— ნიხრი შეშაზე. ქალაქის თვითმართველობამ გამოიმუშავა ნიხრი შეშაზე. კარგი 12 ვაგონი შეშა კუბიკურა საჟენი ღირება 12000 მანეთი, 24 ვაგონი 11.500 მ. მდარე ხარისხის 12 გოჯიანი 10.000 და 24 გოჯიანი 9.500 მ. პირველ რაიონში წვრილად ფუთი 60 მ. მეორეში 63 მ. მესამეში-66 მ. მეოთხეში-64 მ, დამარჩენ რაიონებში 100 პროც. მეტი.

— ცეცხლის მქრობელი რაზმი. ტფილისის ბრანდმეისტერმა სამხედრო სამინისტროს სატეხნიკო კომისიას წარმოუდგინა არსენალის რაიონში ცეცხლის მქრობელ რაზმის მოწყობის გეგმა.

— სოლოლაკის გვირაბი. ქალაქის გამგეობა იუწყება რომ ოქტომბრის 15 დაიხურება სოლოლაკის გვირაბი დიდი ხარჯების გამო.

## ისკანდერ მუნჯის

პატარა ფელეტონი

### თათბირი.

ეხლა კი გვეშველა! აღარც სიმშილის შიში გვაქვს, არც წყურვილის, არც სიცივისა.

სულ კი თათბირის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, პარტიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელ წრეების თათბირისა ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

ღმერთო ჩემო! რა ადვილი ყოფილა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება! და ჩვენ კი არ ვიცოდით. საკმაო ყოფილა მხოლოდ თათბირი და მეტი არაფერი...

თათბირმა მოგვცა, პური, წყალი, შეშა, მეტი რაღა გვინდა? კაცი. მაძღარი იყოს, ტანთ ეცვას და თბილ ოთახში დაიძინოს. სამოთხე მეტი ღა გინდათ?

ეს სამოთხე თათბირმა მოგვანიჭა.

საქმე ასე გახდათ. „ერთობამ" სოციალ-დემოკრატების გაზეთმა შეიტყო და ამცნო მკითხველებს, რომ „ქვეყნის

(ჩვენი ქვეყნისა) ეკონომიური მდგომარეობა კრიტიკულია, სახელმწიფო ფინანსები მეტად არეულია. საწარმოვო ძალების განვითარება შეფერხებულია. ეკონომიური ცხოვრება აწეწილია“.

გაიხსნა რა თათბირი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი წრეებისა, ამ წრეებს მოხსენდა „კრიტიკული მდგომარეობა ქვეყნისა, არეულობა სახელმწიფო ფინანსებისა, შეფერხება საწარმოვო ძალების განვითარებისა და აწეწვა ეკონომიურ ცხოვრებისა‘‘.

თათბირზე გამოირკვა, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ქვეყნის საბედნიეროდ, უკვე ჰქონია ,,მიღებული და შემუშავებული საერთო ეკონომიური პოლიტიკის დებულება‘‘.

ამ დებულების ბადალი არც ერთ სახელმწიფოში არ არსებობს, არც ევროპაში, არც ამერიკაში, რუსეთზე ხომ ნურას ვიტყვით. იმპერიალისტული ეკონომიური პოლიტიკა დაანგრიეს ბოლშევიკებმა და სამაგიეროდ ვერა შექმნეს რა.

თათბირმა აილო სოციალ დემოკრატიის პარტიის მიერ ,,შემუშავებული და მიღებული საერთო ეკონომიური პოლიტიკის დებულება და ჩამოაყალიბა კონკრეტულ გეგმაში. თათბირმა ერთხელ და სამუდამოთ აილო განსაზღვრული ხაზი, ის ხაზი, რომელიც უჩვენა თათბირს ,,ერთობამ‘‘.

,,ერთობამ‘‘ მოახსენა თათბირს, რომ ყოველივე პოლიტიკური პარტია, რომელიც სახელმწიფოს უძღვება, ასე იქცევა:

იღებს სოციალ დემოკრატიის პარტიულ ყრილობის მიერ შემუშავებულ და მიღებულ საერთო ეკონომიური პოლიტიკის ძირითად დებულებებს, კონკრეტიულათ აყალიბებს და სადღეისო კითხვებს სახვალიო კითხვებისაგან არჩევს.

თათბირმა სახვალიო კითხვებს ჯერ-ჯერობით თავი დაანება და სადღეისო კითხვები გადასწყვიტა:

თათბირმა, ,,ერთობის‘‘ მეთაურით იხელმძღვანელა და გადასწყვიტა, რომ ,,საწარმოო ძალთა განვითარება, რაციონალ წარმოების მოწყობა, მეტი სანოვაგის დამზადება, დამზადებული საქონლის სიაფე, ყველა ეს უფრო ადვილათ მისახწევია საზოგადოებრივი წარმოების საშუალებით და უფრო ხელსაყრელია დემოკრატიისთვის‘‘. რაკი ეს გადაწყდა, ძირითადი დებულებანი კონკრეტიულად ჩამოყალიბდა და... მორჩა და გათავდა. გვეშველა.

ძირითადი ჩამოყალიბებას კიდევ ის მოჰყვა, რომ ყოველივე საქმეს მიეცა საზოგადოებრივი დემოკრატიული წარმოება.

ერაძემ იყიდა იაფათ მშვენიერი, თეთრი, ნოყიერი ფქვილი და დაიწყო ჯვარის მამის პურის გამოცხობა მომარაგების სამინისტროში.

ყიასაშვილმა აბხაზეთის თამბაქო წაიღო ინგლისში და მოგვიტანა მანჩესტერიდგან სამასი მილიონი არშინი მაუდი, რომელსაც ერობათა და კოოპერატივების კავშირები ჰყიდიან არშინს ორ მანათად.

მიწათ მოქმედების სამინისტრომ ჩამოართვა დავით ქებაძეს ნაქები წყალი ბორჯომისა, გამოიყვანა მილით ბორჯომიდგან და ეხლა ავჭალის, მღვრიე წყალის მაგიერად ვსვამთ ბორჯომის წყალს. ღვინო საჭირო აღარ დარჩა. მიწათ მოქმედების სამინისტრომ ღვინო გაგზავნა ევროპაში და მოიტანა ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ყოველგვარი მანქანები და სხვა.

რაღა თქმა უნდა რომ შეშა და ნახშირიც გაიაფდა. მშვენიერ თავმოყრილ ურემს იხვეწებიან ორ და ათ შაურათ წაიღეთო.

ვართ და ბედნიერნი ვართ.

## აზერბაიჯანი და საქართველო.

ბაქოს სომხურ გაზეთში ,,კომუნისტ‘‘-ში მოთავსებულია აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა კომისარის მირზა ჰუსეინოვის მოხსენება, რომელიც წაუკითხავს მუშათა-ასკერთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე: ,,ქართველმა მენშევიკებმა გაიგეს თუ არა აზერბაიჯანში ბოლშევიკური გადატრიალება მოხდაო, დაფრთხენ, მაშინათვე შეუდგენ სამხედრო სამზადისს, საზღვარზე ჯარი დააყენეს, ნაწილი იერიშზე გადაუშვეს და გაიმართა ცნობილი საქართველო-აზერბაიჯანის ომი; რასაკვირველია ჩვენ შეგვეძლო ომი განგვერძო, მაგრამ ეს იქნებოდა ჩვენი მუშური და გლეხური პოლიტიკის უარჰყოფა. ჩვენ გვინდა ვაჩვენოთ საქართველოს რესპუბლიკის მუშებსა და გლეხებს, რომ საბჭოთა მთავრობას საქართველოს წინააღმდეგ არ ამოქმედებს დამპყრობი და იმპერიალისტური მიზნები.

ივლისის 12 ჩვენ საქართველოს ზავი შევკარით. ზავი, რომელმაც საქართველოს დიდი სარგებლობა მოუტანა, ნათლად ამტკიცებს იმას თუ რამდენად სინდისიერად ვაწარმოებდით ჩვენ კომუნისტურ პოლიტიკას. რასაკვირველია ჩვენ არ შეგვეძლო სავსებით დაგვეყმაყოფილებია მენშევიკების მადა, რომელნიც თხოულობდენ სრულიად ყაზახის მაზრასა და რკინის გზის ლიანდაგს განჯამდე.

დღემდე ზაქათალის ოლქის საკითხიც არ არის გადაჭრილი. საქართველო თხოულობს ამ ოლქსაც, რომელიც თავისი ეთნოგრაფიული შემადგენლობით არასოდეს არ არ შეიძლება საქართველოს რესპუბლიკის ნაწილი იქნეს. რომ მენშევიკების შიში გაგვენელებია, ჩვენ ისეთს კომპრომისებზე წავედით, რომ ზოგიერთი ადგილები, რომელნიც მენშევიკებს აფრთხობდა, ნეიტრალურ ზონად ვიცანით.

აგრეთვე ჩვენ შევპირდით საქართველოს პირველ თვეებში მიგვეცა ორი მილიონი ფუთი ნავთი; სამაგიეროდ ჩვენ უნდა გვესარგებლნა საქართველოს რკინის გზით ბათომამდე დასავლეთ ევროპასთან კავშირის დასაჭერად. მაგრამ ამის შემდეგ გავიგეთ, რომ ჩვენს ნავთს მენშევიკები,—საბჭოთა რუსეთის დაუძინებელ მტერს, ვრანგელს უგზავნიან.

და სანამ საქართველოს მთავრობა არ მოგვცემს იმას გარანტიას, რომ ჩვენ მიერ გაგზავნილ ნავთს, ჩვენს მტერს არ მიაწვდიან, მანამ ჩვენ საქართველოსთან ვერ შევკრავთ ვერც ერთს პირობას‘‘.

## ტუპამ ბეგ შარვაშიძე ორყველი.

(ქართველ მაჰმადიანთა წარსული ცხოვრებიდან)

ტუპამ ბეგი შარვაშიძე, ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრებაში, ეკუთვნის ისეთ მოღვაწეთა დასს, რომელნიც დაუცხრომლად სცდილობდენ, ქართველ მაჰმადიანები რაც შეიძლება ცოტანი აყრილიყვნენ სამუსლიმანო საქართველოდამ და ოსმალეთში არ გადასახლებულიყვნენ.

ტუპამ ბეგის ცხოვრება და მოქმედება გაიყოფება ორ ხანათ და ორ ნაწილად, პირველი ხანა არის მისი ის დრო, როცა სამუსლიმანო საქართველო ოსმალოს ხელში იყო და ტუპამ ბეგიც ოსმალოს მთავრობას ემსახურებდა, იგი მაშინ იყო ქვედა აჭარის გამგეთ. მეორე ხანა მისის მოქმედების გახლავსთ ის როცა სამუსლიმანო საქართველოს ერთი ნაწილი საქრისტიანო საქართველოს შემოუერთდა 1878 წ. და ტუპამ ბეგიც რუსეთის მთავრობის სამსახურში იყო, მას ებარა იგივე თანამდებობა, ქვედა აჭარის უფროსობა, რაც მას ოსმალოს მთავრობის დროს ეკავა.

ტუპამ ბეგმა ოსმალეთის მონობაში გაახილა თვალები, იგი იყო ოსმალოს სამხედრო სამსახურის პირი, ოსმალურად გაზრდილი, მაგრამ თვალი და გული მას მაინც თავის სამშობლო საქართველოსკენ ეჭირა და მუდამ მისი მნატვრელი იყო, რომ ეგები სამუსლიმანო საქართველოს ელირსოს—დედა საქრისტიანო საქართველოსთან შეერთებაო.

ახმედ ეფენდი ხალვაში ტუპამ ბეგის სულიერი ძმა მეგობარი კაცი იყო და თითქმის ერთი მიმართულების, ერთი მისწრაფებისა. თურმე გული სტკიოდა და ასე ამბობდა: სად შარვაშიძე და ხალვაში და სად თათრების გვარი, რაც ოღლებით თავდება და მასთან ქურთებს ენათესავებაო. ჩვენ კი არც ქურთები ვართ არც თურქებიო, ჩვენ ქართველები ვართ ანუ გურჯებიო.

ამ გარემოებას ჩვენში აღვიძებდა ის პირობებიც, რომ ოსმალნი საქართველოს და ქართულ ენას დიდის ზიზღით უყურებდნენ, ქართულ ენას სდევნიდნენ. ეს იყო იმის მიზეზი, რომ ქართული ენა ქართველ მაჰმადიანებში იკარგებოდა და ადვილად ივიწყებდნენ. აჭარაში ისე იყო საქმე დაყენებული, რომ 50 წლის განმავლობაში ქართული ენა ყველას დაავიწყდებოდა, ამ გარემოებას წინ აღუდგა 1877 წლის რუსთა და ოსმალოს ომი და 1878 წ. რაკი ჩვენი შეერთებაც მოხდა, მის მერე ამ ბოროტებასაც ბოლო მოეღო.

ქართული ენის წინააღმდეგ ოსმალოს მთავრობამ მოქმედება დაიწყო 1850 წ. ამიტომ იგინი აი რას შვრებოდენ: ქართველ მაჰმადიანებში ნიშნავდენ მოხელეებათ სულ ოსმალოს ისეთ კაცებს, რომელთაც ქართული ენა არ იცოდნენ. სასამართლოში ესენი ხალხს ყოველთვის ოსმალურად ელაპარაკებოდნენ, ამ დროს, ვინც აღმოსჩნდებოდა, რომ ოსმალური ენა არ იცოდა, ის გინდ მართალი ყოფილიყოს, უსათუოდ გამტყუნდებოდა, ვინც კი იცოდა ოსმალური ენა, იმას გამართლება მოელოდა, რაც გინდ მტყუანი და დამნაშავე ყოფილიყო.

ოსმალეთის მთავრობის კაცები ამას გარდა, ლაპარაკის დროს და შემდეგაც ხალხს ბოროტათ ექცეოდნენ. ერთათ ერთი ჩვენ ვიყავით აქ აჭარის ბეგებიო, რომ ოსმალოს მთავრობის ბოროტებას არ ვემორჩილებოდით და სასამართლოებში ხალხს ქართულს ენაზედ ველაპარაკებოდით. ჩვენ წინააღმდეგ ოსმალოს მთავრობა ყოველთვის ლესავდა კბილებს, მაგრამ მაინც ვერას აწყობდენ, რადგანაც ჩვენც მაგრა ვიდექით მათი ბოროტების წინაშე. გარდა ამისი ჩვენ მათ პროტესტებს ხშირად უცხადებდით რომ ჩვენს ქვეყანაში გამგებათ ჩვენ უნდა ვიქნეთ დანიშნული და არა უცხო ტომის კაციო.

უმთავრესად კი ეს გარემოება უნდა ჩაითვალოს მის მიზეზათ, აჭარაში ქართული ენა შენახული იქნა და არ დაიკარგა, ქართული ენა აჭარაში თუ დაცულ იქნა, ეს მოხდა ქართულ ბეგების აღიების მოხერხებით და შრომით ქართული ენის დავიწყების საქმეს თვით ქართველი ხოჯიები და მოლები უწყობდენ ხელს, ამათ ცდას ის შეადგენდა რომ ხალხს თავისი ენა მალე დაევიწყებინათ და იგინი სრულიათ გათურქებულიყვნენ, ერთათ ერთი ქედის მუფთი იყო, რომ ის არ ემორჩილებოდა ამ ბოროტს ბრძანებისა და ქართულს ენას იცავდა ყველგან, თორემ სხვები ჩვენ წინააღმდეგნი იყვნენ ქართულ ენისა.

ხოჯიებს და მოლებს მიტომ სძულდათ ქართული ენა, რადგანაც მათ სტამბოლში ზრდიდნენ და იქ სასტიკათ ავიწყებდნენ თავიანთ ვინაობის ხსოვნას, ამას გარდა უნერგავდენ გულში ქართული ენის მტრობას და ზიზღს, აუწყებდენ მათ, რომ ქართული ენა გიაურების ენაა, და ამიტომ თქვენც ენ გიაურების ენა მუსლიმანებს უნდა დაავიწყონ, პირველათ ეს ენა უნდა ამოეგლიჯოთ მათაო. ასეთს სამსახურისთვის მოლებს და ხოჯიებს წელიწადში 150 მ. ეძლეოდათ საჩუქრათ, იგინიც მიტომ აღვიძებდენ და ქართველ ხალხს და ნამეტარ გლეხ კაცობას ავიწყებდენ ქართულ ენას.

ამ შხამის დათესვას ხოჯიები მართოთ გლეხ-კაცობაში ახერხებდენ, ბეგიების ოჯახში კი იგინი ამას ვერ ბედავდენ ამიტომაც ბეგიებში შენახულ იქნა ქართული ენა, თუმცა ბეგიები ოსმალურ ენასაც ხმარობდნენ შინ, მაგრა მან ნაცვლათ იგინი არც ქართულს ივიწყებდენ. თადგანაც მათ ოსმალოს მთავრობას და ხოჯიების და მოლების შიში არ ჰქონდათ, ამიტომაც ესენი ქართულს ენას თავისუფლათ ხმარობდენ და ზოგთა ოჯახებში ქართული წერა-კითხვაც იცოდნენ.

ამას ასაბუთებს ის გარემოებაც, რომ გ. ყაზბეგი, და დიმიტრი ბაქრაძესაც კი ენახა აჭარის ბეგიების ოჯახებში ქართული დაბეჭდილი წიგნები, რომელ წიგნებიც ბეგიებს თბილისიდამ დაუბარებიათ თურმე სუდვით 1870 წლებს. ეს წიგნები მეც ვნახე და 1871 წ. 72, 73 წლებში თბილისში დაბეჭდილი ქართული წიგნები მეც ვნახე, რომელ წიგნებიც აჭარაში იმავე დროს შეეტანათ, ანუ ოსმალთა მსვლელობის დროს რასაც ბეგიების შვილებში, როგორც ვაჟები, ისევე ქალებიც სწავლობდენ და კითხულობდენ. ამის მაგალითი იყო ისიც, რომ თვით ამ ამბების მომთხრობს ტუპამ ბეგსაც დიდათ უყვარდა ,,ვეფხის ტყაოსანის‘‘ კითხვა და ამ წიგნის ქება მათ ოჯახში ძველათგანვე სცოდნიათ, რომ ,,ვეფხის ტყაოსანი‘‘ შესანიშნავი წიგნიაო.

ამიტომაც მოხდა, რომ 1878 წ. საქართველოსთან შეერთების საქმეს აჭარის ბეგები სიხარულით შეხვდნენ. ასეთნი იყვნენ ახმედ ეფენდი ხალვაში, ტუპამბეგი, ზუნდიდელო ბეჟანიძეები და ბევრიც სხვანი. უბრალო სოფლის ხალხს კი ამის შეგნება არ ჰქონდათ, მათ რუსები კაცის ჭამიები ეგონათ და ქართველებიც მგლები.

ამიტომაც იგინი დღე და ღამ სულ ირაზმებდენ და ოსმალეთში აპირებდენ მუჰაჯირათ წასვლას. 300, 400 და 500 კაცი და ხან მეტიც და ხან 2000 ერთათ მივიდოდნენ ქედაში ტუპამ ბეგთან და კითხვებს აძლევდენ, თუ რუსების და ქართველების ხელში ჩვენი საქმე როგორ იქნებაო. ამათშივე ერივნენ ხოლმე ის ბოროტი ჯაშუშები და მტრები, რომელიც მათ რაზმავდენ ოსმალეთში წასასვლელათ.

ტუპამ ბეგი, როგორც აჭარის ბეგი და მასთანვე უფროსი გამგე, ამ დროს იჩენდა დიდს მოთმინებას, დიდს გონს და უნარს, რომ ამოდენა ხალხი როგორმე დაემშვიდებინა და ყველა თავის სახლში დაებრუნებინა მშვიდობით.

ეს პატიოსანი ბეგი ამოდენა ხალხს თითქმის 2 ათას კაცს, ბევრს რამე ამბებს ეტყოდა და ამით დაამშვიდებდა, მერე ყველა ამათ მისცემდა სადილს, მარტო მჭადს კი არა მჭადს, ყველს,, გულიდამ და სხვა ასეთ საჭმელებს, ამისთვის ტუპამ ბეგი ხარჯავდა დიდს ქონებას, მამაპაპეულს ქონებას და თვით ამ ხორაგის მომზადება და დარიგებასაც ბევრი შრომა სჭირდებოდა.

ზარალს გარდა ბევრს ნივთიერათაც ეხმარებოდა და ამ გვარად ამშვიდებდა ყველას, ეცდომ რუსების შიშს აცლიდა და მის მაგიერ ქართველების სიყვარულს უნერგავდა, სულ ამ ბეგის და ასეთ კაცთა შრომა და ცდა იყო. რომ აჭარელნი ისე მრავლად არ მიდიოდენ ოსმალეთში.

ერთი აჭარელი გადასახლებულა ოსმალეთში, იქ დასახლებულა რამდენსამე ხანს, მერე ისევ დაბრუნებულა აჭარაში ამ დროს, მეც იქ ვიყავ აჭარაში და თვით ამ ტუპამ ბეგთან ვიყავი დაბინავებული. ამ დაბრუნებულ კაცს ტუპამ ბეგმა ესეთი სიტყვა უთხრა:

ძიავ, გეუბნები, რომ ნუ მიხვალ თორემ ინანებ, ბოლოს სინანულში შეხვალ თქო. ეხლა მე რა გიყო, აქიდან რომ გადიოდი, ხომ ნახე შენი მამული და სახლკარი თან არ მოგდევდა, შენ რაღას მირბოდი იქით. ეხლა მოსულხარ და თხოულობ, რომ უკან მიმიღეთ და ჩემს მამულზედ დამასახლეო. ეხლა მე რა გიყო შენ, ამ მამულზედ რამდენი ხანია ფუხარა კაცი დასახლდა და ეხლა რა უყო მას, იმან დაამუშავა იგი და ეხლა მისი იქედამ აყრა უსამართლობა იქნება.

მისულმა ვედრება და ტირილი დაიწყო; მე ფაშავ ოსმალეთში ველარ გავტრიალდები, არც ამის [illegible] მაქვს, მიშველე დამასახლე სადმე [illegible]ზე-ში ჩაგვყარეთ ჩვენი ცოლშვილით.

ტუპამ ბეგს ეს [illegible]ოდა, იქვე პატივცემული [illegible]ლიანს რაღაც [illegible] მონ იოსელიანი ტუპამ ბეგის ხელით გაზრდით, დიდათ პატიოსანი [illegible]თველი და მასთანვე აჭარლების ქომაგი და მფარველი.

სიმონ იოსელიანმა ცნობა ტუპამ ბეგს, ამის შემდეგ ბეგმა [illegible]ლოდან მოსული ქართველი მაჰმადიანი დაამედა და იმედი მისცა:

კარგი, ნუ გეშინიან, აგერ ქართველ ჩვენს ძმა სიმონ იოსელიანს ჰქონია ერთ ალაგას მოსახლის ალაგი, მის ზედ დაგასახლებ. ამისთვის შენ დიდი მადლე ამ პატიოსან ქართველ სიმონ იოსელიანს ჩვენის აჭარის გულ შემატკივარ კაცს და ჩვენს ქართველ ძმას.

ესეთი დარიგება იყო თვით არ ბეგის ღირსების გამომხატველი და ცნება, თუ მას როგორ სურდა ამ ორ ძმათა შორის ქართველ მაჰმადიანთ შორის ქრისტიან ქართველების სიყვარულის დამკვიდრება.

დასასრულ ვიტყვი, რომ ტუპამ ბეგს მარტო ერთი ასეთი ოჯახი არა ჰყავს დაფარული და უკან დაბრუნებული, შინ მიღებული და დასახლებელი არა, მედ მრავალნი, თუმცა ასეთების მიღებას რუსეთის მთავრობა სასტიკათ უკრძალავდა და ბრძანება იყო, რომ თუ ოსმალეთიდამ გადასახლებული უკან დაბრუნდეს ვინმე, იგი აღარ მიიღონო. ამ ბრძანების არც ტუპამ ბეგი და არც სიმონ იოსელიანი ყურადღებას არ აქცევდნენ და უკან დაბრუნებულ მუჰაჯირებს ისევ ბინას უჩენდენ და ასახლებდენ აჭარაში.

ზ. ჯ.

## ჩვენი ზღვა

(დასასრული)

**დ. საზღვაო სამინისტროს აუცილებლობა.**

ე) როდესაც 26 მაისს 1918 წლისა საქართველომ გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა და პირველად აეწყო სახელმწიფოებრივი ცხოვრების აპარატი, მაშინ სხვა სამინისტროთა შორის იყო დაარსებული ცალკე საზღვაო სამინისტრო, რომლის სათავეში იდგა ნეტარხსენებული გობეჩია. რასაკვირველია, პატარა საქართველოს არ ესაჭიროებოდა იმდენი რიცხვი სამინისტროებისა, რამდენიც ჰქონდა ვეებერთელა რუსეთს და ევროპის დიდს სახელმწიფოთ და აი რამოდენიმე ხნის შემდეგ, როცა საქართველოში შეამცირეს სამინისტროთა შტატები, დახურულ იქნა, სხვათა შორის, საზღვაო სამინისტროც, რომელიც დღეს შეერთებულია გზათა მიმოსვლის სამინისტროსთან.

უეჭველად, ეს იქნებოდა გამოწვეული რამე სადი პოლიტიკური მოსაზრებით, მით უმეტეს, რომ მაშინ ბათომი და მთელი ბათუმის ოლქი მოჭრილი იყო საქართველოს მთლიან სხეულისაგან, მაგრამ დღეს კი როდესაც საქართველოსა მთლიან სხეულს დაუბრუნდა მისი არსებითი ნაწილი და საქართველოს ტერიტორიაში შედის ისეთი პირველ ხარისხოვანი ბუნებრივ ნავსადგური, როგორიც არის ბათომი და როდესაც საქართველოს აქვს ასეთივე ბუნებრივი წყლის სიმდიდრე, როგორიც არის პალიასტომის ტბა, რომლისგან მომავალში მოსალოდნელია გაკეთდეს სამხედრო გემთა დიდმნიშვნელოვანი მსოფლიო ნავთსადგური, რის გეგმაც, რამდენადაც ვიცით, უკვე შემუშავებული აქვს ჩვენს ცნობილს პუბლიცისტს ნ. ნ. ნიკოლაძეს, დღეს, როდესაც საქართველოს აღდგინა თამარის დროის მისი ისტორიული საზღვრები თითქმის ძველი ტრაპიზონის იმპერიამდის,—როგორც საქართველოს არსებობისათვის ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ზღვის ნაპირების გამაგრებას და საზღვაო საქმეების რაციონალურად მოწყობას, დიაღ, დღეს კი, ჩვენის ღრმა რწმენით, საჭიროა გაიხსნას ცალკე საზღვაო სამინისტრო, თუნდაც შემოკლებულის შტატით, უკეთუ სახელმწიფოს ინტერესების ფინანსიური თვალსაზრისი მოითხოვს ასეთს შემოკლებას.

გარდა ზემომოყვანილ მოსაზრებათა, ცალკე საზღვაო სამინისტროს გახსნას ჩვენში მოითხოვს ის მოსაზრებაც, რომ ყოველივე დიდმნიშვნელოვანი საქმის გაკეთება, ამ საქმის შესახებ სათანადო განკარგულებათა მოხდენა ყოველთვის უნდა მიენდოს ამ საქმის სპეციალისტს, ისეთს პირს, ანუ კოლეგიას, რომელსაც კარგად ესმის ეს საქმე, იცის მისი ისტორიული თავგადასავალი, მისი წარმოშობის მიზეზები და მსვლელობის კანონები. ამის მაგალითს გვიჩვენებს ინგლისის ცხოვრება. ფრიად გონიერი მმართველი და შორს მჭვრეტელი დიპლომატი იყო ზემოხსენებული ინგლისის დედოფალი ელისაბედი. ასეთივე დიდგონიერი პოლიტიკოსი იყო მისი შინაგან საქმეთა მინისტრი სესილი. მაგრამ, როგორც ნათქვამია, კინაღამ დაიღუპა ინგლისი 1588 წელში ესპანიის ფლოტისაგან იმის გამო, რომ ინგლისში მაშინ არ იყო ცალკე საზღვაო სამინისტრო, საკუთარი უწყება, და საზღვაო საქმეებს განაგებდა სხვა სამინისტრო, რომელიც მათთან არ იყო შესაფერად გაცნობილი. ხოლო როდესაც საზღვაო უწყება ჩაბარდა ნამდვილს მის პატრონებს-მეზღვაურებს, ინგლისი გარდაიქცა მთელს დედამიწის ზურგზე ზღვის პირველ მეპატრონეთ. გავარდის, [illegible]ს და მისი ამხანაგების სახელები ჩაიწერა ეხვილი ასოებით ინგლისის ისტორიის ფურცლებში. ამ მეზღვაურებმა მისცეს საუკეთესო გაკვეთილი არამც თუ ინგლისს, არამედ მთელს კაცობრიობას, გაკვეთილი შესახებ იმისა, რომ საზღვაო საქმეების სასარგებლოდ წაყვანა შეუძლიათ მხოლოდ მეზღვაურებს, როგორც ამ საქმის სპეციალისტებსა და არა სხვა დარგის მეცნიერებს და პოლიტიკურს მოღვაწეებსა.

რომ საზღვაო უწყება უნდა შეადგენდეს საკუთარს ერთეულს, ცალკე კიბეს, რომლის ყველა საფეხურებზე უნდა იდგნენ საზღვაო საქმის სპეციალისტები, შემკობილნი შესაფერი ცოდნითა და გამოცდილებით, უნდა იდგნენ დარაჯათ რომ დაიცვან სახელმწიფოს შენობა, როგორც გარეშე მტრებისაგან, აგრეთვე შინაური მეამბოხეთაგან,—ეს უნდა იქნეს მიღებული ცხად ჭეშმარიტებათ. აგრეთვე ცხადია, რომ ფინანსიურმა თვალსაზრისმა არ უნდა მიაყენოს ზიანი თავდაცვის პოლიტიკას და სახელმწიფომ არ უნდა დაიშუროს ფული რიგიანი ფლოტის მოსაწყობათ. ცხადია ისიც, რომ საზღვაო უწყება უნდა იყოს მეზღვაურ-სპეციალისტთა ხელში და არა გზათა უწყების ინჟინერებისა, როგორც ეს არის ჩვენში.

მართალია, ინჟინერიც ესაჭიროება საზღვაო უწყებას, როგორც სხვა დარგის მეცნიერებიცა, მაგალითად: ხომალდების შეკეთება-აშენებაში, ელექტრონის გაყვანაში და სხ. მაგრამ თვით საზღვაო საკითხების ახსნა-განმარტება და მათ შესახებ შესაფერი განკარგულებათა მოხდენა უნდა გამოდიოდეს მეზღვაურ-სპეციალისტებისაგან ასეც უნდა იყოს. ინჟინერის მოქმედების ასპარეზია ხმელეთი, ხმელეთზე მუშაობა, ხოლო მეცნიერი მეზღვაურისა—ზღვა, ზღვის ტალღებზე ცურვა. ინჟინერის განკარგულებაშია ბუნების სამი სტიქიონი: ჰაერი, ცეცხლი და მიწა, რომლებითაც ის სარგებლობს, რომ მოაწყოს ელექტრონი, გააკეთოს ორთქლმავალი, გადვას ხიდები, ააშენოს სახლები და მიწის გულიდან ამოიღოს მის წიაღში დაფლული სიმდიდრე. ხოლო ბუნების უძლიერესი სტიქიონი წყალი ჰაერითურთ ემორჩილება მეზღვაურ ასტრონომს, რომელმაც ასტრონომიისა და გეოლოგია-გეოგრაფიის საშუალებით უნდა გამოარკვიოს ჰაერის მოძრაობა თვალ-გადუწვდენელ ზღვაზე და მდებარეობა წყლის ტალღებში დაფარული ხმელეთისა.

ჩვენში უბრალო ანდაზაა: „პური მეპურეს გამოაცხობინე და წაღა მეწაღეს შეაკერვინე“-ო. პირდაპირ დარღვევა იქნება ამ უბრალო ხალხური სიბრძნისა, ამ ანბანური ჭეშმარიტებისა, რომ საზღვაო საქმეების გამგეობა მივანდოთ გზათა მიმოსვლის უწყებას, ჩავაბაროთ ინჟინერებს, ანუ სხვა დარგის მეცნიერებსა და არა მეზღვაურ-სპეციალისტებს.

როგორც ნათქვამია, საქართველოსათვის ერთი უპირველესი სახელმწიფო მნიშვნელოვანი საკითხთაგანია საზღვაო საკითხი და ამ საქმისა შეუსაბამოთ დაყენება იქნება სამშობლოს წინაშე ისეთი დანაშაულობა, რომლის პატიება ისტორიას გაუძნელდება...

დიაღ, ჩვენს რესპუბლიკაში საზღვაო საქმის კეთილდღეობა მოითხოვს, რომ ხელახლა დაარსდეს ჩვენში ცალკე საზღვაო სამინისტრო, ვიმეორებ, თუნდაც შემოკლებული შტატითა ანუ კიდევ სხვა სახელწოდებით, მაგალითად: საზღვაო უწყების დეპარტამენტისა, მაგრამ იმ სახით კი, რომ საზღვაო საქმეებს განაგებდნენ მხოლოდ სპეციალისტ-მეზღვაურები და არა სხვა დარგების მეცნიერები და სხვა უწყების მმართველები.

მეზღვაური.

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: ხპ. კედია.

## მატარებელთა მიმოსვლა

ღვინობისთვის 10-დან 1920 წ.

### თბილისიდან გადის.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისაკენ | 10 ს. | 58 წ. | დილ. |
| | ბათომში ჩადის | 7 ს. | 27 წ. | დილ. |
| № 9 | ფოთისაკენ | 5 ს. | 34 წ. | დილ. |
| | ფოთში ჩადის | 10 ს. | 45 წ. | დილ. |
| № 7 | ბათომისკენ | 10 ს. | 28 წ. | საღ. |
| | ბათომში ჩადის | 5 ს. | 52 წ. | საღ. |
| № 19 | ბორჯომისკენ | 3 ს. | 19 წ. | დილ. |
| | ბორჯომში ჩადის | 11 ს. | 25 წ. | დილ. |
| | სალოღლისკენ | 7 ს. | 20 წ. | დილ. |
| № 4 | სანაინისკენ | 8 ს. | | დილ. |
| | სანაინში ჩადის | 5 ს. | | საღ. |
| | კახეთისკენ | 8 ს. | 30 წ. | დილ. |

### თბილისისკენ მოდიან.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 10 | ფოთიდან | 3 ს. | 51 წ. | |
| | თბილისში მოდის | 9 ს. | 16 წ. | დილ. |
| № 4 | ბათომიდან | 4 ს. | 9 წ. | დღ. |
| | თბილისში მოდის | 1 ს. | 1 წ. | დღ. |
| № 8 | ბათომიდან | 11 ს. | 37 წ. | ღამ. |
| | თბილისში მოდის | 7 ს. | 36 წ. | ღამ. |
| № 20 | ბორჯომიდან | 12 ს. | 22 წ. | ღამ. |
| | თბილისში მოდის | 7 ს. | 47 წ. | დილ. |
| | სალოღლიდან | 12 ს. | 10 წ. | დილ. |
| № 4 | სანაინიდან | 7 ს. | 30 წ. | დილ. |
| | თბილისში მოდ. | 3 ს. | 20 წ. | დღ. |
| | კახეთიდან თბილისში მოდ | 8 ს. | 20 წ. | ს. |

## სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სათლის
**მიხეილ გედევანიშვილისა**
დილით 12—2 საათ. საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. 3102. თვ.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი-ექიმი.
**ი. გ. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჰიიკცვრის სასული—ჰილის ავადმყოფობას ვეძიებ „ნეიმანის და ვესსელის“ მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას „ზოოტექნიაზე“ (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—4 ს.
ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2.
თვ. 42.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის
## საბუღალტერო კურსები
სწავლა (ქართულ ენაზე) დაიწყება 20 ღვინობისთვეს, საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე (კვირა დღითაც) 12-ს საათამდე პალატის საკანცელარიო განყოფილებისაგან (ერთიანული საბჭოს ქუჩა, № 11; ყოფილი ფრეილინის ქუჩა).
3—3170—2